

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა**  
**GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM**

**ბრძანება**

28.04 2023 წ. ქ. თბილისი # 43

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის (მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები) შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა დანართებითურთ (სსე-ში დასაქმებულების საწარმოო გარემოს, საფრთხეების და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვა - დანართი-1, შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემა - დანართი-2);
2. დაევალოს დირექტორთა საბჭოს წევრებს და გენერალური დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში არსებული ყველა დასაქმებულისთვის აღნიშნული პოლიტიკის გაცნობა;
3. სსე-ში დასაქმებულებმა მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას იხელმძღვანელონ პოლიტიკის დანართი-1-ში და დანართი-2-ში არსებული მასალებით და ინფორმაციით;
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს პოლიტიკის სსე-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსება;
5. საერთო კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტექნიკური უსაფრთხოების და ინსპექციის სამსახურის უფროსს მერაბ კვირიკაშვილს;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

გიორგი გიგინეიშვილი

## **სსე-ის შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა**

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - სსე) ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 4 357 კმ. სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 93 ქვესადგურს. გადამცემ ქსელს მართავს ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი, ხოლო მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ექსპლუატაციის დეპარტამენტის 4 რეგიონული ფილიალი (აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის და კახეთის რეგიონული ქსელები). სსე ასევე მართავს მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შრომის დაცვის სფეროში პრიორიტეტად აღიარებს სსე-ს თანამშრომლებისთვის, მის ობიექტებზე მყოფი კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის და ვიზიტორებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას. შესაბამისად, კომპანიისთვის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს მისი თითოეული თანამშრომლის, მის ობიექტებზე მყოფი სხვა პირების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

### **შრომის უსაფრთხოების სფეროში სსე-ის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:**

- ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა;
- სამრეწველო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადებების თანმიმდევრული და უწყვეტი შემცირება;
- შრომის უსაფრთხოების კორპორატიული კულტურის მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზარზე დასაქმებლის დადებითი იმიჯის შექმნა და შენარჩუნება, აქციონერების, ინვესტორების, კრედიტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის განმტკიცება.

### **დასახული მიზნების მისაღწევად სსე იღებს შემდეგ პასუხისმგებლობებს:**

- უზრუნველყოს შრომითი პროცესების განხორციელებისას საწარმოო საქმიანობის შედეგებთან შედარებით მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის პრიორიტეტულობის შენარჩუნება;
- უმაღლესი მენეჯმენტის და ყველა დონის მენეჯერების ერთგულების დემონსტრირება შრომის დაცვის საკითხებში;
- უზრუნველყოს საქმიანობის წარმოება შრომის დაცვის ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნების, დარგობრივი, შიდა რეგულაციების და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად;
- უზრუნველყოს სსე -ს კუთვნილ ობიექტებზე თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობები, თავიდან აიცილოს პერსონალის ტრავმატიზმის და ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევები;
- უზრუნველყოს სსე -ს სამუშაო სივრცეში მესამე მხარის დაზიანების შემთხვევების თავიდან აცილება;
- უზრუნველყოს ავარიების, ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების პრევენცია;
- უზრუნველყოს საწარმოო საქმიანობის თავისებურებების და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამუშაო ადგილებზე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება, პროფესიული რისკების შეფასება და ეფექტურად მართვა;
- უზრუნველყოს სსე -ს კუთვნილი ობიექტების დროული მოდერნიზაცია, აღჭურვილობის შეცვლა, საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება;
- უზრუნველყოს დასაქმებულები მაღალი ხარისხის ხელსაწყო/მოწყობილობებით, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის ეფექტური საშუალებებით;

- უზრუნველყოს შრომის დაცვის მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება და ეფექტურობის ზრდა შრომის დაცვის სფეროში თანამედროვე მეთოდების, სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს შრომითი საქმიანობის პროცესში შრომის დაცვის მოთხოვნების შესრულება და თანამშრომლებს შორის უსაფრთხო ქცევის კულტურის ამაღლება;
- შრომის დაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მიზნით უზრუნველყოს სსე-ს თანამშრომლებისათვის აუცილებელი კომპეტენციის ჩამოყალიბა და შენარჩუნება ტრენინგების, სწავლებებისა და ვარჯიშების გზით;
- გაზარდოს თანამშრომელთა მოტივაცია, შეასრულონ შრომის დაცვის მოთხოვნები თავიანთი მუშაობის პროცესში და აიმაღლონ კვალიფიკაცია;
- დასაქმებულთა ტრავმატიზმის და პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს შრომის დაცვის ხელშეწყობა და ინფორმაციული მხარდაჭერა.

ამ პოლიტიკის კონტექსტში, სსე-ის მენეჯმენტი აცხადებს თავის ერთგულებას „ნულოვანი ტრავმატიზმის“ კონცეფციის პრინციპების მიმართ.

სსე-ის თანამშრომლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მიმართულია სამუშაო პირობებისა და შრომის დაცვის უზრუნველყოფა-გაუმჯობესებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან იქნება შესაბამისად განხილული, მხარდაჭერილი და დაფასებული.

სსე-ის მენეჯმენტი უზრუნველყოფს საჭირო რესურსების გამოყოფას და ამ პოლიტიკით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის სათანადო პირობების შექმნას.

სსე-ის მენეჯმენტი აცნობიერებს კომპანიის მთავარ ღირებულებებს, ძირითად მიზნებსა და ვალდებულებებს და იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებაზე.

აღნიშნული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

დანართი-1 - სსე-ში დასაქმებულების საწარმოო გარემოს, საფრთხეების და შრომის

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვა;

დანართი-2 - შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემა.

დოკუმენტი შეიქმნა შემდეგი ლიტერატურისა და რეგულაციების გათვალისწინებით:

1. საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“;
2. საქართველოს ორგანული კანონი 4283-III - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“;
3. დადგენილება №341 – „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“;
4. დადგენილება №79 – „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ“;
5. დადგენილება №477 – „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“.
6. ბრძანება №01-15-ნ - „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“;
7. დადგენილება №340 – „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“;
8. დადგენილება №361 – „ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“;
9. ბრძანება №01-11/ნ - „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“;
10. ბრძანება №215/ნ - „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის დამტკიცების შესახებ“;
11. ბრძანება №01-79/ნ - „ღამის სამუშაოზე წლიური სამუშაო დროის პროპორციული განაკვეთის განსაზღვრის და ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომი პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობისა და ფარგლების დამტკიცების თაობაზე“;

12. ბრძანება №216/ნ - „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“;

## სსე-ში დასაქმებულების საწარმოო გარემოს, საფრთხეების და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვა

### შესავალი

საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციამ შეიმუშავა და დანერგა თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასებისა და მართვის სისტემაზე.

საწარმოო გარემოს, საფრთხის შემცველი ფაქტორებისა და შრომის პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით, სსე წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მფლობელ კომპანიას, რომელთა ნაწილი ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით. შესაბამისად, სამუშაოების ჩატარებისთვის ან/და ტერიტორიაზე დაშვებისათვის შესასრულებელია ეროვნული კანონმდებლობის და ტექნიკური რეგლამენტების მთელი რიგი მოთხოვნები, მათ შორის საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების მართვა, პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა, სამუშაო სივრცეში დაშვების სპეციალური წესების მკაცრი დაცვა, პერსონალის დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და ა.შ.

ამასთანავე, სსე-ის სამუშაო სივრცეებში დასაქმებული და ამ სივრცეში მყოფი პირები (სსე-ის თანამშრომელი, კონტრაქტორი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი და სხვა), რომლებიც ასრულებენ სამუშაოს ან/და იმყოფებიან საფრთხის შემცველი სამუშაო პროცესების წარმოების სიახლოვეს, უნდა იყვნენ ინფორმირებულები და დაცულები საფრთხეებისგან, რომლებიც შეიძლება არსებობდეს აღნიშნულ სამუშაო სივრცეებში ან/და სამუშაო პროცესების დროს.

წინამდებარე დოკუმენტი (დანართი-1) აღწერს სსე-ის საწარმოო გარემოს, სამუშაო სივრცეებს, პროცესებს, სტრუქტურულ ერთეულებს, მათთან დაკავშირებულ საფრთხეებს, რისკებს. ასევე, აღნიშნული საფრთხეების და რისკების გავლენას სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა და სხვა პირთა ჯანმრთელობაზე.

### სსე-ის საწარმოო გარემო, სამუშაო სივრცეები, პროცესები და სტრუქტურული ერთეულები

**საწარმოო გარემო** - ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია დასაქმებულის ან სხვა პირის შრომის პროცესთან, მათ შორის:

- ორგანიზაციის ტექნიკური აღჭურვილობა;
- ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი;
- შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობა;
- სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- შრომითი ურთიერთობები;

- პროფესიული რისკების ხარისხი

**სამუშაო სივრცე** – ყველა სამუშაო ადგილის, იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფება/გადაადგილდება სამსახურებრივი დანიშნულებით, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს (საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ).

**სამუშაო ადგილი** – კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული და სხვა პირი უშუალოდ ახორციელებენ შრომით საქმიანობას (საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ).

საწარმოო გარემოს და სამუშაო სივრცეების განსაზღვრის მიზნით სსე-ში დასაქმებულები პირობითად შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად:

1. \* **„გადაცემა“** - ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ტექნიკური პერსონალი, რომლის ფუნქციებსაც განეკუთვნება ქვესადგურებისა და გადამცემი ხაზების ექსპლუატაცია, მოვლა, რემონტები და მშენებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოების ძირითად ლოკაციებს წარმოადგენს ქვესადგურები და საველე სივრცე (ხაზობრივი ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორია).
2. **„დისპეტჩერიზაცია“** - ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ტექნიკური პერსონალი, რომლის ფუნქციებსაც განეკუთვნება ელექტროენერჯის გენერაციის, გადამცემისა და მოხმარების რეჟიმების უწყვეტი მართვა (ენერგეტიკული ქსელის ინტელექტუალური მართვა), ხოლო სამუშაოების წარმოების ძირითად ლოკაციებს წარმოადგენს საოფისე შენობები.
3. **„დამხმარე სტრუქტურები“** - ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, რომლის ფუნქციებსაც განეკუთვნება სსე-ს ძირითადი ამოცანების მართვისა და შესრულებისათვის შესაბამისი რესურსებითა და სერვისებით უზრუნველყოფა, ხოლო სამუშაოების წარმოების ძირითად ლოკაციებს წარმოადგენს საოფისე შენობები (მივლინების საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული პერსონალის გარკვეული ნაწილის საწარმოო გარემოს და სამუშაო სივრცეს შეიძლება წარმოადგენდეს ქვესადგურები და საველე სივრცეები).

**შენიშვნა \*** - სსე-ის სტრუქტურაში შემავალი დანაყოფების სახელწოდების პერიოდული ცვლილების გამო ზემოთ ჩამოთვლილი პირობით ჯგუფებში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების დასახელებები შეიძლება არ ემთხვეოდეს სსე-ს სტრუქტურაში დანაყოფების ოფიციალურ სახელწოდებას, თუმცა, სრულად გადმოსცემდეს სტრუქტურული დანაყოფის ძირითადი საქმიანობის შინაარსს.

1. **„გადაცემა“ (ქვესადგურებისა და ხაზების ექსპლუატაცია/მომსახურება) და მისი საწარმოო გარემოს თავისებურებები**
  - 1.1. **„გადაცემა“-ში შემავალი სტრუქტურული დანაყოფებისა და პერსონალის ზოგადი ჩამონათვალი:**
    - 1.1.1. ექსპლუატაციის, მშენებლობისა და რემონტების დეპარტამენტები;
    - 1.1.2. ქვესადგურის ოპერატიულ-ტექნიკური პერსონალი;
    - 1.1.3. ქვესადგურების სარემონტო/საექსპლუატაციო პერსონალი;
    - 1.1.4. სარელეო დაცვის პერსონალი;
    - 1.1.5. დიაგნოსტიკის პერსონალი;
    - 1.1.6. ტრანსფორმატორების რემონტების პერსონალი;
    - 1.1.7. სამშენებლო საამქროს პერსონალი;
    - 1.1.8. ხაზების სარემონტო/საექსპლუატაციო პერსონალი.

არსებული ჯგუფის პერსონალის გარკვეული ნაწილის სამუშაო ადგილი ხასიათდება, როგორც მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი (აღნიშნული პოზიციების ნუსხა დამტკიცებულია სსე-ის შესაბამისი ბრძანებით).

## **1.2. საწარმოო გარემოში არსებული ტექნიკური დანადგარები:**

- 1.2.1. ქვესადგურები - პირველადი მოწყობილობები (მალოვანი და მზომი ტრანსფორმატორები, საკომუტაციო მოწყობილობები), მეორადი მოწყობილობები (სარელეო დაცვისა, მართვის, ავტომატიკის და აღრიცხვის დანადგარები და წრედები, მოწყობილობების კარადები, სააკუმულატორო მეურნეობა და კონტეინერები), მართვის სისტემების, კომუნიკაციის ქსელის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი, კომუნიკაციის მოწყობილობები, სერვერები, კომპიუტერები, მონიტორები, ტელეფონები, ვიდეო კამერები, ინვერტორები და ა.შ.), სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, სადენები (დროსელი, მაღალსიხშირული კავშირის მიერთების ფილტრი, საჰაერო ხაზები და საკაბელო მეურნეობა), საყრდენი და დამჭერი კონსტრუქციები (ანძები, პორტალები და სხვა), ტრანსპორტი, სპეც.ტექნიკა, ამწე და სხვა;
- 1.2.2. ველი/გადამცემი ხაზები - ე.გ.ხ. ინფრასტრუქტურა (სხვადასხვა ტიპის ანძები, სახაზო არმატურა, ფუნდამენტები, სადენი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ჩასახვევით, ქურო,) და სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, ტრანსპორტი, სპეც. ტექნიკა, ამწე და სხვა;

საწარმო გარემოში არსებული ტექნიკური დანადგარების ზოგადი მდგომარეობა შეესაბამება ქვეყანაში არსებულ საექსპლუატაციო ნორმებს. აღნიშნულ მოწყობილობა-დანადგარებს სისტემურად უტარდებათ მიმდინარე და კაპიტალური რემონტები.

## **1.3. შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები**

- 1.3.1. საწარმოო გარემოში არსებული შენობა-ნაგებობების (სამორიგეო/მართვის ფარი, მოსასვენებელი ოთახი, სამზარეულო, სველი წერტილი, საკუჭნაო) და საინჟინრო კომუნიკაციების (სანიაღვრე და საკაბელო არხები, ზეთშემკრებები, ზეთმიმღებები, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები, შიდა და მისასვლელი გზები და ა.შ.);
- 1.3.2. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია ხანძრის შეტყობინების სისტემებით და ხანძარქრობის საჭირო საშუალებებით და ინვენტარით. შენობებს გააჩნიათ როგორც ცენტრალური, ასევე საევაკუაციო გასასვლელები;
- 1.3.3. ყველა შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია საევაკუაციო მანიშნებლებით და ხანძრის და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო სქემებით;
- 1.3.4. შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ავტონომიური (დიზელგენერატორები, სააკუმულატოროები) დენის წყაროებით.

საწარმოო გარემოში არსებული შენობა-ნაგებობების ზოგადი მდგომარეობა შეესაბამება ქვეყანაში არსებულ საექსპლუატაციო ნორმებს. აღნიშნულ ინფრასტრუქტურას სისტემურად უტარდებათ მიმდინარე და კაპიტალური რემონტები;

## **1.4. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა:**

- 1.4.1. საწარმოო გარემოში ფუნქციონირებს 6-500 კვ ძაბვის მოწყობილობები. აღნიშნული მოწყობილობების ნაწილი ხასიათდება სხვადასხვა სახის ელექტრომაგნიტური მახასიათებლებით;
- 1.4.2. ქვესადგურები აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით (სველი წერტილი, საპირფარეშო, საშხაპე, სამზარეულო, გასახდელი, მოსასვენებელი ოთახები);
- 1.4.3. პერიოდულად ხდება ქვესადგურების დეზინფექცია-დერატიზაცია-დეზინსექცია;

- 1.4.4. ყოველდღიურად ხორციელდება შენობა-ნაგებობების მოვლა, მიმდინარე დალაგება-დასუფთავება;
- 1.4.5. ყველა სტრუქტურული დანაყოფი აღჭურვილია პირველადი დახმარების ავთიაქებით.

### 1.5. ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი:

- 1.5.1. ქვესადგური - ოპერატიული მართვა, ტერიტორიისა და მოწყობილობების შემოვლა-დათვალიერება, მოვლა, მონიტორინგი, დიაგნოსტიკა და სამონტაჟო, სარემონტო, საექსპლუატაციო, სამშენებლო სამუშაოები;
- 1.5.2. ველი/გადამცემი ხაზები - ე.გ.ხ-ების შემოვლა-დათვალიერება, დიაგნოსტიკა, მოვლა, მონიტორინგი და სამონტაჟო, სარემონტო, საექსპლუატაციო, სამშენებლო სამუშაოები.

ყველა ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება ეროვნული და შიდა რეგლამენტების (განწესი, განკარგულება, გადართვის ბლანკი, დაშვება, პერსონალის კვალიფიკაციის კონტროლი, საფრთხეების ინდენტიფიცირება, რისკების შეფასება და ა.შ) მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

### 1.6. შრომითი ურთიერთობები:

- 1.6.1. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება;
- 1.6.2. ყველა დასაქმებულის ფუნქცია/მოვალეობები გაწერილია სამუშაოს აღწერაში (თანამდებობრივი ინსტრუქცია)
- 1.6.3. ოპერატიული პერსონალის მორიგეობა ხორციელდება დამტკიცებული გრაფიკით ცვლაში მორიგეობის გათვალისწინებით;
- 1.6.4. ტექნიკური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 5 სამუშაო დღით, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე (ან არჩევით განრიგით 09:30-დან 18:30-მდე) 1 საათიანი შესვენებით 13:00 დან 14:00 საათამდე;
- 1.6.5. ზეგანაკვეთური სამუშაოების შემთხვევაში ხორციელდება მათი დასვენების დღეებით კომპენსირება;
- 1.6.6. პერსონალი სარგებლობს წელიწადში 24 სამუშაო დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით;
- 1.6.7. მძიმე, მავნე და საშიშპირობიან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით პერსონალის ანაზღაურებადი შვებულება განისაზღვრება დამატებით 10 დღით;
- 1.6.8. ტექნიკური პერსონალი პერიოდულობით გადის ჯანმრთელობის შემოწმებას დამსაქმებლის ხარჯზე;
- 1.6.9. სსე-ის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით, მათ შორის, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარი უბედური შემთხვევის დაზღვევით (ვრცელდება მხოლოდ თანამშრომელზე).

### 1.7. პროფესიული რისკების ხარისხი

საფრთხის შემცველი ფაქტორები - საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება (საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ).

„გადაცემის“ ჯგუფის პერსონალის სამუშაო პროცესები და სამუშაო ადგილები ხასიათდება შემდეგი სახის საფრთხეებით:



1.7.1. **ფიზიკური ფაქტორები** - ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური, მაიონებელი და არამაიონებელი გამოსხივება; საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა; ვიბრაცია; ფიზროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი); არასათანადო განათება; აეროიონები.

**ფიზიკური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

- 1.7.1.1. მეტეოპირობები (ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექი, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, ატმოსფერული წნევა);
- 1.7.1.2. გამოსხივება (სითბური, მაიონებელი და არამაიონებელი);
- 1.7.1.3. ხმაური (ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია);
- 1.7.1.4. მტვერი;
- 1.7.1.5. არასათანადო განათება;
- 1.7.1.6. მექანიკური მოწყობილობები;
- 1.7.1.7. ელექტროდანადგარები (ფიქსირებული, მოძრავი);
- 1.7.1.8. გაზი (პროპანი, ბუთანი, აცეტილენი, ჟანგბადი);
- 1.7.1.9. მოძრავი დანადგარები;
- 1.7.1.10. ტრანსპორტი;
- 1.7.1.11. მოძრავი მოწყობილობები ან ობიექტები;
- 1.7.1.12. წნევის ქვეშე მყოფი სისტემები;
- 1.7.1.13. წნევის ქვეშე მყოფი გარემო;
- 1.7.1.14. არამექანიკური აღჭურვილობა;
- 1.7.1.15. დანადგარებთან სივრცე / მისასვლელელები;
- 1.7.1.16. თხრილები/საკაბელო არხები;
- 1.7.1.17. სიმაღლეზე არსებული საგნები;
- 1.7.1.18. სრიალა ზედაპირი;
- 1.7.1.19. საშიში შენობა;
- 1.7.1.20. საშიში ფასადი;
- 1.7.1.21. ბასრი საგნები;
- 1.7.1.22. ბასრი კიდეები;
- 1.7.1.23. ხელით გადაზიდვა;
- 1.7.1.24. არათანაბარი იატაკი;
- 1.7.1.25. გაჭიმული კაბელები (იატაკზე, სიმაღლეზე);
- 1.7.1.26. დახურული სივრცე;
- 1.7.1.27. არათანაბარი ნიადაგი;
- 1.7.1.28. ინდ. დაცვის საშუალებები;
- 1.7.1.29. ღიობები იატაკზე.

1.7.2. **სახიფათო ნივთიერებები/ქიმიური ფაქტორები** - მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) და/ან ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის გამოიყენება ქიმიური ანალიზის მეთოდები.

**სახიფათო ნივთიერებები/ქიმიური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

- 1.7.2.1. სახიფათო სითხეები/ მყარი ნივთიერებები;
- 1.7.2.2. ჯანმრთელობისთვის მავნე ანაორთქლები/ აირები;
- 1.7.2.3. აალებადი, ფეთქებადი სითხეები;
- 1.7.2.4. ნამწვი აირები.

1.7.3. **ბიოლოგიური ფაქტორები** – ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები-პროდუცენტები.

**ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

1.7.3.1. მწერები/ცხოველები;

1.7.3.2. მიკროორგანიზმები, ვირუსები;

მცენარეები;

1.7.3.3. არაუსაფრთხო საკვები ან საკვების მომზადება;

1.7.3.4. სამედიცინო ნარჩენები.

1.7.4. **ფსიქო-სოციალური ფაქტორები** – სტრესი, კომუნიკაცია, პოსტტრამვეული სტრესები; **ფსიქო-სოციალური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

1.7.4.1. სამუშაო უბანზე მარტო ყოფნა;

1.7.4.2. შრომის (ხანგრძლივი სამუშაო საათები) და დასვენების (არასაკმარისი ხანგრძლივობა) არარაციონალური რეჟიმი;

1.7.4.3. შრომის არაკომფორტული/არახელსაყრელი პირობები;

1.7.4.4. შესაძლო აგრესია გარეშე პირთა მხრიდან ;

1.7.4.5. კონფლიქტური ურთიერთობა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობასთან;

1.7.4.6. სოციალური მხარდაჭერის (რჩევა, დახმარება, შესრულებული სამუშაოს მოწონება, აღიარება) ნაკლებობა;

1.7.4.7. სამუშაოს შესრულებისთვის შეზღუდული რესურსები;

1.7.4.8. არასაკმარისი გამოცდილება;

1.7.4.9. სწრაფი ტემპით მუშაობა, განსაკუთრებით მაღალი სამუშაო რიტმი;

1.7.4.10. შესაძლო ძალადობა

1.7.4.11. განსხვავებული შეხედულებები და სამუშაო ეთიკა;

1.7.4.12. გადაღლა

1.7.4.13. სამუშაოსთან დაკავშირებული ფსიქიკური სტრესი;

1.7.4.14. სამუშაოს არაადეკვატურად აღქმა და შეფასება.

1.7.5. **ერგონომიული ფაქტორები** - სამუშაო პროცესში სამუშაო ადგილები, სუბიექტებისა და ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური მუშაობისთვის დასაქმებულის ინდივიდუალური, სხეულის ფიზიკური და გონებრივი მახასიათებლები (დადლილობა, დატვირთვა).

**ერგონომიული ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

1.7.5.1. სიმძიმის აწევა და ტვირთის გადატანა ხელით;

1.7.5.2. მუდმივად განმეორებადი ან ერთფეროვანი (მონოტონური) სამუშაო;

1.7.5.3. მუშაობა მოუხერხებელ პოზაში (სხეულის დაჭიმვა, მოხრა, დახრა) არასწორად დაპროექტებული დანადგარების, მოწყობილობების და სამუშაო პროცესის გამო, ასევე მუშაობა მუდმივად „მჯდომარე“/„მდგომარე“ პოზაში ან შეზღუდულ სივრცეში;

1.7.5.4. სამუშაოს შესრულებისას სხეულის რბილ ქსოვილებზე პირდაპირი ზეწოლა და კუნთების სტატიკური დაძაბვა;

1.7.5.5. არასაკმარისი განათება და არაკომფორტული მიკროკლიმატი;

1.7.5.6. ხმაურის და ვიბრაციის მომეტებული დონე;

1.7.5.7. სამუშაო გარემოს დიზაინი.

## 2. „დისპეტერიზაცია“ - და მისი საწარმოო გარემოს თავისებურებები

**2.1. „დისპეტჩერიზაცია“ -ში შემავალი სტრუქტურული დანაყოფებისა და პერსონალის ზოგადი ჩამონათვალი:**

- 2.7.1. სტრატეგიული დაგეგმვის და ანალიზის დეპარტამენტის პერსონალი;
- 2.7.2. ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსების დეპარტამენტის პერსონალი;
- 2.7.3. რელეური დაცვის და ავტომატიკის სამსახურის პერსონალი;
- 2.7.4. ოპერატიული მართვის სამსახურის პერსონალი;
- 2.7.5. ბაზრის დისპეტჩერები;

სამუშაოების წარმოების ძირითად ლოკაციებს წარმოადგენს საოფისე შენობები (სათაო ოფისი, სათადარიგო სადისპეტჩერო).

**2.2. საწარმოო გარემოში არსებული ტექნიკური დანადგარები:**

- 2.2.1. ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი (ოპერატიული) - ცენტრალური სადისპეტჩერო ცენტრის მართვის ფარი; SCADA და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა - კაბელები, პერსონალური კომპიუტერები, მონიტორები, ტელეფონები, ნოუთბუქები, პრინტერები, პროექტორები; საყოფაცხოვრებო ტექნიკა (კონდენციონერი, მაცივარი, ტელევიზორი და ა.შ.);
- 2.2.2. „დისპეტჩერიზაციაში“ შემავალი სხვა სტრუქტურული დანაყოფები (არაოპერატიული) - SCADA და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა - კაბელები, პერსონალური კომპიუტერები, მონიტორები, ტელეფონები, ნოუთბუქები, პრინტერები, პროექტორები; საყოფაცხოვრებო ტექნიკა (კონდენციონერი, მაცივარი, ტელევიზორი და ა.შ.);

**2.3. შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები**

- 2.3.1. საწარმოო გარემოში არსებული სამუშაო/დამხმარე სივრცეების (სამორიგო/მართვის ფარი, მოსასვენებელი ოთახი, სამზარეულო, სველი წერტილი, საკუჭნაო, არქივი, მიმღები, სასერვერო) და საინჟინრო კომუნიკაციების (საკაბელო არხები, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები, სამგზავრო ლიფტები და ა.შ.), ზოგადი მდგომარეობა შეესაბამება ქვეყანაში არსებულ საექსპლუატაციო ნორმებს. აღნიშნულ ინფრასტრუქტურას სისტემურად უტარდებათ მიმდინარე და კაპიტალური რემონტები;
- 2.3.2. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია ხანძრის შეტყობინების სისტემებით და ხანძარქრობის საჭირო საშუალებებით და ინვენტარით. შენობებს გააჩნიათ როგორც ცენტრალური, ასევე სავაკუაციო გასასვლელები;
- 2.3.3. ყველა შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია სავაკუაციო მანიშნებლებით და ხანძრის და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო სქემებით;
- 2.3.4. შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია სარეზერვო და ავტონომიური (დიზელგენერატორები, სააკუმულატორები) დენის წყაროებით;

**2.4. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა:**

- 2.4.1. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით (სველი წერტილი, საპირფარეშო, საშხაპე, სამზარეულო, გასახდელი, მოსასვენებელი ოთახები);
- 2.4.2. პერიოდულად ხდება შენობების დეზინფექცია-დერატიზაცია-დეზინსექცია;
- 2.4.3. ყოველდღიურად ხორციელდება შენობა-ნაგებობების მოვლა, მიმდინარე დალაგება-დასუფთავება;

2.4.4. სტრუქტურული დანაყოფები აღჭურვილია პირველადი დახმარების ავთიაქებით.

## 2.5. ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი:

2.5.1. ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი (ოპერატიული) - უწყვეტ რეჟიმში საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მონიტორინგი და ინტელექტუალური მართვა.

2.5.2. „დისპეტჩერიზაციაში“ შემავალი სხვა სტრუქტურული დანაყოფები (არაოპერატიული) - ელექტროენერგეტიკული სისტემის გამართული მუშაობისათვის რეჟიმების ანგარიში, ავტომატიკისა და სარეგულაციური დაცვის დანაყენების შერჩევა.

## 2.6. შრომითი ურთიერთობები:

2.6.1. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება;

2.6.2. ყველა დასაქმებულის ფუნქცია/მოვალეობები გაწერილია სამუშაოს აღწერაში (თანამდებობრივი ინსტრუქცია)

2.6.3. ოპერატიული პერსონალის მორიგეობა ხორციელდება დამტკიცებული გრაფიკით ცვლაში მორიგეობის გათვალისწინებით;

2.6.4. „დისპეტჩერიზაციაში“ შემავალი სხვა სტრუქტურული დანაყოფების (არაოპერატიული) პერსონალის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 5 სამუშაო დღით, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე (ან არჩევით განრიგით 09:30-დან 18:30-მდე) 1 საათიანი შესვენებით 13:00 დან 14:00 საათამდე;

2.6.5. ზეგანაკვეთური სამუშაოების შემთხვევაში ხორციელდება მათი დასვენების დღეებით კომპენსირება;

2.6.6. პერსონალი სარგებლობს წელიწადში 24 სამუშაო დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით;

2.6.7. სსე-ს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით, მათ შორის, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარი უბედური შემთხვევის დაზღვევით (ვრცელდება მხოლოდ თანამშრომელზე).

## 2.7. პროფესიული რისკების ხარისხი:

„დისპეტჩერიზაციის“ ჯგუფის პერსონალის სამუშაო პროცესები და სამუშაო ადგილები ხასიათდება შემდეგი სახის საფრთხეებით:

2.7.1. **ფიზიკური ფაქტორები** – ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება; მაიონებელი და არამაიონებელი გამოსხივება; საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა; ვიბრაცია; ფიზიკური მოქმედების აეროზოლები (მტვერი); არასათანადო განათება; აეროიონები;

**ფიზიკური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

2.7.1.1. მიკროკლიმატი (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე);

2.7.1.2. გამოსხივება (სითბური, მაიონებელი და არამაიონებელი);

2.7.1.3. ხმაური (ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია);

2.7.1.4. მტვერი;

2.7.1.5. არასათანადო განათება;

2.7.1.6. სიმაღლეზე არსებული საგნები;

2.7.1.7. სრიალა ზედაპირი;

- 2.7.1.8. შენობების (ოფისი, საწყობი, საკუჭანაო და ა.შ.) მიმდინარე და კაპიტალური რემონტები;
- 2.7.1.9. ფასადის მოპირკეთება (შემინვა, ნალესი);
- 2.7.1.10. ბასრი საგნები;
- 2.7.1.11. მძიმე საგნები;
- 2.7.1.12. ბასრი კიდეები;
- 2.7.1.13. არათანაბარი იატაკი;
- 2.7.1.14. გაჭიმული კაბელები (იატაკზე, სიმაღლეზე);
- 2.7.1.15. დახურული/დახშული სივრცე;

**2.7.2. სახიფათო ნივთიერებები/ქიმიური ფაქტორები** - მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) და/ან ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის გამოიყენება ქიმიური ანალიზის მეთოდები.

**სახიფათო ნივთიერებები/ქიმიური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

- 2.7.2.1. სახიფათო აირები;
- 2.7.2.2. სახიფათო სითხეები;
- 2.7.2.3. სახიფათო ნივთიერებები.

**2.7.3. ბიოლოგიური ფაქტორები** – ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები-პროდუცენტები.

**ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

- 2.7.3.1. მწერები;
- 2.7.3.2. მიკროორგანიზმები, ვირუსები;
- 2.7.3.3. არაუსაფრთხო საკვები ან საკვების მომზადება;
- 2.7.3.4. სამედიცინო ნარჩენები.

**2.7.4. ფსიქო-სოციალური ფაქტორები** – სტრესი, კომუნიკაცია, პოსტტრამული სტრესები.

**ფსიქო-სოციალური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

- 2.7.4.1. სამუშაო უბანზე მარტო ყოფნა;
- 2.7.4.2. შრომის (ხანგრძლივი სამუშაო საათები) და დასვენების (არასაკმარისი ხანგრძლივობა) არარაციონალური რეჟიმი;
- 2.7.4.3. შრომის არაკომფორტული/არახელსაყრელი პირობები;
- 2.7.4.4. შესაძლო აგრესია გარეშე პირთა მხრიდან ;
- 2.7.4.5. კონფლიქტური ურთიერთობა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობასთან;
- 2.7.4.6. სოციალური მხარდაჭერის (რჩევა, დახმარება, შესრულებული სამუშაოს მოწონება, აღიარება) ნაკლებობა;
- 2.7.4.7. სამუშაოს შესრულებისთვის შეზღუდული რესურსები;
- 2.7.4.8. არასაკმარისი გამოცდილება;
- 2.7.4.9. სწრაფი ტემპით მუშაობა, განსაკუთრებით მაღალი სამუშაო რიტმი;
- 2.7.4.10. შესაძლო ძალადობა;
- 2.7.4.11. განსხვავებული შეხედულებები და სამუშაო ეთიკა;
- 2.7.4.12. გადაღლა;
- 2.7.4.13. სამუშაოსთან დაკავშირებული ფსიქიკური სტრესი;

2.7.4.14. სამუშაოს არაადეკვატურად აღქმა და შეფასება;

**2.7.5. ერგონომიული ფაქტორები** - სამუშაო პროცესში სამუშაო ადგილების, სუბიექტებისა და ობიექტების უსაფრთხო და ეფექტური მუშაობისთვის დასაქმებულის ინდივიდუალური, სხეულის ფიზიკური და გონებრივი მახასიათებლები (დადლილობა, დატვირთვა).

**ერგონომიული ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ძირითადი ჩამონათვალი:**

2.7.5.1. არასათანადო განათება;

2.7.5.2. არასათანადო/არასაკმარისი ვენტილაცია;

2.7.5.3. ხანძარი/აფეთქება;

2.7.5.4. ხმაური/ვიბრაცია.

**3. „დამხმარე სტრუქტურები“ (ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი) და მისი საწარმოო გარემოს თავისებურებები**

**3.1. „დამხმარე სტრუქტურებ“ -ში შემავალი დანაყოფებისა და პერსონალის ზოგადი ჩამონათვალი:**

3.1.1. ადმინისტრაცია;

3.1.2. კანცელარია;

3.1.3. ადამიანური რესურსები/კადრები;

3.1.4. ფინანსები და ბუღალტერია;

3.1.5. ლოგისტიკა;

3.1.6. SCADA და საინფორმაციო ტექნოლოგიები;

3.1.7. შესყიდვები და მონიტორინგი;

3.1.8. საზოგადოებასთან ურთიერთობა;

3.1.9. იურიდიული;

3.1.10. სატყეო და გარემოს დაცვა;

3.1.11. აღრიცხვა და ALFA ცენტრი;

3.1.12. კომპანიის კონტრაქტორი (ქვეკონტრაქტორი) პერსონალი და სტუმარი (ვიზიტორი);

3.1.13. ორგანიზებული ბაზრების განვითარებისა და ელექტროენერჯის აღრიცხვასთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები;

სამუშაოების წარმოების ლოკაციებს წარმოადგენს ძირითადად ოფისები; ხოლო მივლინების და საჭიროების შემთხვევაში ველი/გადამცემი ხაზები და ქვესადგურები.

**3.2. საწარმოო გარემოში არსებული ტექნიკური დანადგარები:**

3.2.1. SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (სასერვეროების ინფრასტრუქტურა, მონაცემთა ცენტრების სერვერები, კომუნიკაციის მოწყობილობები, ეროვნული და სარეზერვო სადისპეტჩერო ცენტრის მართვის ფარები, ქვესადგურების მართვის სისტემები (შემადგენელი კომპონენტებით), კამერები, დაშვების სისტემის მოწყობილობა, კაბელები, პერსონალური კომპიუტერები, მონიტორები, ტელეფონები, ნოუტბუქები, პრინტერები, პროექტორები, უწყვეტი კვების წყაროები; საყოფაცხოვრებო ტექნიკა (კონდენციონერი, მაცივარი, ტელევიზორი და ა.შ.);

3.2.2. მივლინების და საჭიროების შემთხვევაში:

3.2.2.1. ქვესადგურებში - პირველადი მოწყობილობები (მალოვანი და მზომი ტრანსფორმატორები, საკომუტაციო მოწყობილობები);

მეორადი მოწყობილობები (სარელეო დაცვისა, მართვის, ავტომატიკის და აღრიცხვის დანადგარები და წრედები; მოწყობილობების კარადები; სააკუმულატორო მეურნეობა და კონტეინერები); მართვის სისტემების, კომუნიკაციის ქსელის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი, კომუნიკაციის მოწყობილობები, სერვერების ინფრასტრუქტურა და მონაცემთა ცენტრის სერვერები, კომპიუტერები, მონიტორები, ტელეფონები, ვიდეო კამერები, დაშვების სისტემის მოწყობილობა, ინვერტორები და ა.შ), სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, სადენები (საჰაერო ხაზები და საკაბელო მეურნეობა), საყრდენი და დამჭერი კონსტრუქციები (ანძები, პორტალები და სხვა), ტრანსპორტი, სპეც.ტექნიკა, ამწე და სხვ.;

3.2.2.2. ველზე/გადამცემ ხაზებზე - ე.გ.ხ. ინფრასტრუქტურა (სხვადასხვა ტიპის ანძები, სახაზო არმატურა, ფუნდამენტები, სადენი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ჩასახვევით, ქურო, გვარლი) და სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, ტრანსპორტი, სპეც. ტექნიკა, ამწე და სხვ.

### **3.3. შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები**

3.3.1. ოფისებში შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობა აღწერილია 2.3. პუნქტში;

3.3.2. მივლინებების და საჭიროების შემთხვევაში ველზე/გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობა აღწერილია 1.3. პუნქტში.

### **3.4. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა:**

3.4.1. ოფისებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აღწერილია 2.4. პუნქტში;

3.4.2. მივლინებების და საჭიროების შემთხვევაში ველზე/გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აღწერილია 1.4. პუნქტში.

### **3.5. ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი:**

3.5.1. „დამხმარე სტრუქტურები“-ს პერსონალი ახორციელებს ელექტროენერგეტიკული სისტემის გამართული მუშაობისათვის საჭირო ადმინისტრირებას, დაინტერესებულ მხარეებთან (გარე ორგანიზაციები, ფიზიკური პირები) შეთანხმებებს, კომპანიის მართვის დაგეგმვა-მონიტორინგს, პროექტირებას, შესყიდვებს, ფინანსურ და იურიდიულ უზრუნველყოფას, ლოგისტიკური, ელექტროენერგიის აღრიცხვას, საექსპლუატაციო, სარემონტო, დისპეტჩერული მართვის, გარემოს დაცვის, პერსონალის სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესების დაგეგმვა/მართვა/კონტროლს, ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის და ქვესადგურების მართვის სისტემების, ამ მართვის სისტემაში ჩართული ობიექტების კომუნიკაციის არხების და ინფორმაციულ ტექნოლოგიების სერვისების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას.

### **3.6. შრომითი ურთიერთობები:**

3.6.1. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება;

3.6.2. ყველა დასაქმებულის ფუნქცია/მოვალეობები მკაცრად გაწერილია სამუშაოს აღწერაში (თანამდებობრივი ინსტრუქცია)

- 3.6.3. სტრუქტურული დანაყოფების პერსონალის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 5 სამუშაო დღით, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე (ან არჩევით განრიგით 09:30-დან 18:30-მდე) 1 საათიანი შესვენებით 13:00 დან 14:00 საათამდე;
- 3.6.4. ზეგანაკვეთური სამუშაოების შემთხვევაში ხორციელდება მათი დასვენების დღეებით კომპენსირება;
- 3.6.5. პერსონალი სარგებლობს წელიწადში 24 სამუშაო დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით;
- 3.6.6. მიმღე, მავნე და საშიშპირობიან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით პერსონალის ანაზღაურებადი შვებულება განისაზღვრება დამატებით 10 დღით;
- 3.6.7. ტექნიკური პერსონალი პერიოდულობით გადის ჯანმრთელობის შემოწმებას დამსაქმებლის ხარჯზე;
- 3.6.8. სსე-ს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით, მათ შორის, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარი უბედური შემთხვევის დაზღვევით (ვრცელდება მხოლოდ თანამშრომელზე).

### 3.7. პროფესიული რისკების ხარისხი:

- 3.7.1. „დამხმარე სტრუქტურები“-ს პერსონალის სამუშაო პროცესები და სამუშაო ადგილები საოფისე ფართებში ხასიათდება 2.7. პუნქტში აღწერილი საფრთხეებით;
- 3.7.2. „დამხმარე სტრუქტურები“-ს პერსონალის მივლინებების და საჭიროების შემთხვევაში ველზე/გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში ხასიათდება 1.7. პუნქტში აღწერილი საფრთხეებით;

## 4. სამუშაო სივრცეებში (საოფისე, ტექნოლოგიური და სხვა სამუშაო სივრცეები) საფრთხეებიდან გამომდინარე ჯანმრთელობაზე სავარაუდო ზიანის, ტრავმის მიღების სავარაუდო ლოკაციების, მიზეზების და რისკ ფაქტორების ნუსხა

სსე-ის პერსონალს და კომპანიასთან დაკავშირებულ პირებს (კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები, ვიზიტორები და სხვა) თავისი საქმიანობის განხორციელება უწყვეტ სხვადასხვა სამუშაო სივრცეში.

სსე-ის საწარმოო საქმიანობის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით „გადაცემის“, „დისპეტჩერიზაციის“ და „დამხმარე სტრუქტურების“ სამუშაო სივრცეები პირობითად დაყოფილია სამ ჯგუფად:

1. **საოფისე სამუშაო სივრცე** - სათაო, რეგიონული და სხვა საოფისე ფართები, სასწავლო ცენტრი, სასერვეროები;
2. **ტექნოლოგიური სამუშაო სივრცეები** - ქვესადგურები, სამშენებლო-სარემონტო საამქროები, ლაბორატორია, ავტოფარეხები, საწყობები/საკუჭნაოები, სასერვეროები;
3. **სხვა სამუშაო სივრცეები** - ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის საჰაერო/საკაბელო ხაზები და მათთან დაკავშირებული საპროექტო, სამშენებლო და საექსპლუატაციო არეალი.



საოფისე სამუშაო სივრცე ხასიათდება საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული მცირე ან უმნიშვნელო საფრთხის შემცველი ფაქტორებით და აღნიშნულ სივრცეში მუშაობა უწყვეტ „დისპეტჩერიზაციის“ და „დამხმარე სტრუქტურების“ პერსონალს.

ტექნოლოგიური და საველე სამუშაო სივრცე ხასიათდება მომატებული საფრთხის შემცველი ფაქტორებით, პერსონალის მიერ ხორციელდება მომეტებული საფრთხის შემცველი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოები და მუშაობა უწყვეტ „გადაცემის“ პერსონალს მუდმივად და „დამხმარე სტრუქტურების“ პერსონალს მივლინების/საჭიროების შემთხვევაში.

საფრთხის შემცველი ფაქტორი – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლე - ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება (საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ).

#### 4.1. საოფისე სამუშაო სივრცე

##### 4.1.1. ჯანმრთელობაზე სავარაუდო ზიანის (ყველაზე გავრცელებული ტრავმების) ნუსხა საოფისე სამუშაო სივრცეში დასაქმებული მუშაკებისთვის

- 4.1.1.1. მოტეხილობა;
- 4.1.1.2. ღრძობა;
- 4.1.1.3. დაჭიმვა;
- 4.1.1.4. დაჟეჟილობა, ჭრილობა, შინაგანი და გარეგანი სისხლდენა;
- 4.1.1.5. სმენის, მხედველობის დაზიანება;
- 4.1.1.6. დამწვრობა;
- 4.1.1.7. სასუნთქი გზების დაზიანება;
- 4.1.1.8. მაღალი/დაბალი არტერიული წნევა;
- 4.1.1.9. შოკური მდგომარეობა (გონების დაკარგვა, ანაფილაქსიური შოკი);
- 4.1.1.10. ელექტროდენისაგან დაზიანება;
- 4.1.1.11. სტრესი;
- 4.1.1.12. მოწამვლა.

##### 4.1.2. აღნიშნული ტრავმები მოსალოდნელია ოფისის შემდეგ ლოკაციებზე:

- 4.1.2.1. ოფისის შენობის შესასვლელი (ავტომატური კარი, ტურნიკეტი, შესასვლელის გარე კიბე და სხვა);
- 4.1.2.2. შენობის კიბის უჯრედი (ასვლა-ჩასვლა);
- 4.1.2.3. შიდა გზები, დერეფნები და ცალკეული სათავსოები;
- 4.1.2.4. ლიფტები;
- 4.1.2.5. სიმაღლეზე მუშაობა (ნათურების, ფარდების ან სხვა დეკორაციების მონტაჟი-შეცვლა);
- 4.1.2.6. ცალკეული ოთახები (წყლის ადუღება ან საკვების გათბობა);
- 4.1.2.7. სამზარეულო;
- 4.1.2.8. სააკუმულატორო, სარეზერვო ელექტრომომარაგების კვების სათავსო (დიზელგენერატორი);
- 4.1.2.9. თბომომარაგების (გათბობა) საქვაბე;
- 4.1.2.10. სამუშაო ადგილი;
- 4.1.2.11. სასერვეროები;
- 4.1.2.12. სანიტარული კვანძები (საპირფარეშო, საშხაპე).

**4.1.3. ტრავმის მიღების ძირითადი მიზეზი ხშირად ხდება:**

- 4.1.3.1. მოცურება (ფეხის დასხლეტა) სველ იატაკზე მორეცხვისას ან მის ზედაპირზე სითხის დაღვრის გამო და დაცემა;
- 4.1.3.2. ოფისში არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამტარების (კაბელები) მოუწესრიგებლობის გამო მათში გახლართვა (ფეხის დაბმა);
- 4.1.3.3. დერეფნების, გასასვლელების ან ცალკეული სათავსის ცუდი განათება;
- 4.1.3.4. ჩახერგილი დერეფნები, კიბის უჯრედები და გასასვლელები;
- 4.1.3.5. კიბის უჯრედებში არათანაბარი სიმაღლის საფეხურების არსებობა;
- 4.1.3.6. გადაღლილობა ან სტრესი;
- 4.1.3.7. სხვადასხვა წინაღობებზე სხეულის ნაწილების მირტყმა;
- 4.1.3.8. სხეულის ნაწილების ჩაყოლა სხვადასხვა მოწყობილობებში (მექანიკური, ხელის ან ელექტრო), კარის ან ავეჯის ნაკვეთურებსა და მექანიზმებში;
- 4.1.3.9. სიმაღლეზე წვდომისთვის გაუმართავი კიბეების ან სახელდახელოდ მოწყობილი სადგამების (წიგნების წყობა, აგურების დაწყობა და ა. შ) გამოყენება;
- 4.1.3.10. ლიფტების გაუმართაობა;
- 4.1.3.11. რთული გეგმარების შენობაში მოძრაობის მიმართულების, გასასვლელების ან ასასვლელების მაჩვენებლების არქონა;
- 4.1.3.12. უსწორმასწორო იატაკი ან დაზიანებული (მოძრავი ფილა);
- 4.1.3.13. შეკიდული კონსტრუქციების ან მძიმე ნივთებით გადატვირთული თაროების ვარდნა;
- 4.1.3.14. სხეულის ნაწილების დამწვრობა მდულარე წყლით, ორთქლით, დახურული ან ღია გამახურებლებით.

**4.1.4. ჩამოთვლილი ადგილებისა და მიზეზების გათვალისწინებით, შეიძლება საოფისე სამუშაო სივრცეებისთვის განვსაზღვროთ რისკის ფაქტორები, რომელიც გამოწვეულია შემდეგი საფრთხეებიდან:**

- 4.1.4.1. მოცურების (ფეხის დასხლეტის ან გასრიალების) და წაქცევის საშიშროება, რომელიც არსებობს იატაკის სველი მოწმენდის ან იატაკზე სითხის (წყალი, ჩაი, ყავა) დაღვრის შემდეგ;
- 4.1.4.2. წაბორძიკების (ფეხის წამოკვრის) და წაქცევის საშიშროება გასასვლელებში, დერეფნებში და კონკრეტულ სათავსოში ცუდი განათების გამო;
- 4.1.4.3. სამუშაო ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკური გარემოებებიდან არათანაბარი ან სუსტი განათებით, არასწორი ვენტილაციით, ხმაურით, ვიბრაციით და ა.შ. გამომდინარე საშიშროებები;
- 4.1.4.4. წაბორძიკების (ფეხის წამოკვრის) და წაქცევის საშიშროება კიბის უჯრედებში;
- 4.1.4.5. სკამიდან ან სავარძლიდან (მათზე გადაზნექის, გაწევის ან გაჩოჩების დროს) გადმოვარდნის საშიშროება;
- 4.1.4.6. სიმაღლეზე მისაწვდომად მიდგმული ტუმბოდან ან სკამიდან გადმოვარდნის საშიშროება;
- 4.1.4.7. გადასაადგილებელი გზების იატაკზე წაქცევა ჩახერგილობის, უსწორმასწორო ან მოძრავი ზედაპირის და კიბის საფეხურების

- სიმაღლეთა სხვაობის ან მათზე არსებული დეფექტის გამო;
- 4.1.4.8. იატაკზე კომპიუტერული ტექნიკის დახლართული გამტარების (კაბელების) ან სხვა უწყვეტი მიმოფანტული ნივთების გამო წაქცევის საშიშროება;
  - 4.1.4.9. სტელაჟებიდან და თაროებიდან მძიმე საქალაქდების ან სხვა ნივთების ჩამოცვენის საშიშროება;
  - 4.1.4.10. ადამიანზე შეჯახების საშიშროება;
  - 4.1.4.11. მაგიდების ან სხვა ავეჯის მახვილ კუთხეებზე სხეული ნაწილების (თავი, მხარი, ხელი, ფეხი და სხვა) ჩამოკვრის ან მირტყმის საშიშროება;
  - 4.1.4.12. მაგიდებზე და სხვა ავეჯის წიბოებზე არსებულ მახვილ ნაშვერებზე ან სხვადასხვა მახვილი საგნებით (საკანცელარიო დანა, ქალაღი, მაკრატელი და ა. შ.) ჭრილობის მიყენების საშიშროება;
  - 4.1.4.13. დაძაბული სამუშაო პროცესის ან ერთდროულად რამდენიმე რთული გადაწყვეტილების მიღების დროს გადაღლის ან „პროფესიული გადაწვის“ საშიშროება;
  - 4.1.4.14. რუტინული ანუ განმეორებადი სამუშაოს შესრულების გამო კონცენტრაციის შესუსტება;
  - 4.1.4.15. სტრესულ, ანუ ისეთ გარემოში მუდმივად მუშაობა, როდესაც ორგანიზმის რეაქცია გარემო პირობების ნებისმიერი ტიპის ცვლილებაზე მორგებას და შეგუებას საჭიროებს. წარმოიშობა რთული სიტუაციის საპასუხოდ და იწვევს მუდმივად ფსიქოლოგიურ დაძაბულობას;
  - 4.1.4.16. მძიმე სამუშაო პროცესის ან მძიმე ტვირთების გადაზიდვისას ფიზიკურად გადაღლის ან ჯანმრთელობის დაზიანების საშიშროება;
  - 4.1.4.17. ელექტრომოწილობით მუშაობისას ელექტრო დენით დაზიანების საშიშროება;
  - 4.1.4.18. არასწორი ერგონომიკა (სამუშაო მაგიდის არასწორი სიმაღლე, მოუხერხებელი სკამები, კომპიუტერის მონიტორსა და ადამიანის თვალს შორის არასწორი მანძილი და სხვა.), რომელიც წარმოშობს თვალის, წელის ან კისრის გადაძაბვის საშიშროებას;
  - 4.1.4.19. სხეულის დამწვრობის საშიშროება გამოწვეული ცხელი წყლის (ჩაი, ყავა) დაღვრით;
  - 4.1.4.20. საკვების ან სითხის მიღებით გამოწვეული მოწამვლის საშიშროება;
  - 4.1.4.21. საევაკუაციო გზების ჩახერგვით გამოწვეული საშიშროება (ხანძარი, ადამიანების დიდი რაოდენობით თავშეყრა);
  - 4.1.4.22. ხანძრისგან ან აფეთქებისგან გამოწვეული საშიშროება (შუშების მსხვრევით, მაღალი ტემპერატურით, კვამლით ან წვის პროდუქტებით ხუთვა და ღია ალით დამწვრობის მიღება);
  - 4.1.4.23. ტექნოგენური ან ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციის (ნგრევა, ჩამონგრევა, კონსტრუქციების ან ცალკეული სამშენებლო დეტალების ცვენა, ბზარების და ნაპრალების გაჩენა, მიწისძვრა, ქარიშხალი და ა. შ.) წარმოშობის საშიშროება;
  - 4.1.4.24. შექმნილი საგანგებო სიტუაციების დროს (ხანძარი, ნგრევა, მსხვრევა და ა. შ.) პირველადი რეაგირების საშუალებების (ცეცხლმაქრი, რესპირატორი, სახანძრო ნაჯახი და სხვა) არასწორად გამოყენებით ტრავმების მიღების საშიშროება

(სუნთქვის ან მხედველობის ორგანოების დაზიანება).

#### **4.2. ტექნოლოგიური სამუშაო სივრცეები**

##### **4.2.1. ჯანმრთელობაზე სავარაუდო ზიანის (ყველაზე გავრცელებული ტრავმების) ნუსხა ტექნოლოგიურ სამუშაო სივრცეში დასაქმებული მუშაკებისთვის**

4.2.1.1. მოტეხილობა;

4.2.1.2. ღრძობა;

4.2.1.3. დაჭიმვა;

4.2.1.4. დაჟეჟილობა, ჭრილობა, შინაგანი და გარეგანი სისხლდენა;

4.2.1.5. სმენის, მხედველობის დაზიანება;

4.2.1.6. დამწვრობა;

4.2.1.7. გადაციება;

4.2.1.8. რადიაციული და სხვა დასხივება;

4.2.1.9. სასუნთქი გზების დაზიანება;

4.2.1.10. მაღალი/დაბალი არტერიული წნევა;

4.2.1.11. შოკური მდგომარეობა (გონების დაკარგვა, ანაფილაქსიური შოკი);

4.2.1.12. ელექტროდენისაგან დაზიანება;

4.2.1.13. სტრესი;

4.2.1.14. მოწამვლა.

##### **4.2.2. აღნიშნული ტრავმები მოსალოდნელია ტექნოლოგიურ სამუშაო სივრცეებში:**

4.2.2.1. შენობაში შესვლა (ავტომატური კარი, ტურნიკეტი, შესასვლელის გარე კიბე და სხვა);

4.2.2.2. კიბის უჯრედები (ასვლა-ჩასვლა);

4.2.2.3. შიდა გზები, დერეფნები და ცალკეული სათავსოები;

4.2.2.4. სიმაღლეზე მუშაობა (ნათურების, ფარდების ან სხვა დეკორაციების მონტაჟი ან შეცვლა);

4.2.2.5. სიმაღლეზე სამუშაოები კონსტრუქციებზე, მოწყობილობებსა და დანადგარებზე;

4.2.2.6. ცალკეული ოთახები (წყლის ადუღებისას ან საკვების გათბობისას);

4.2.2.7. სამზარეულო;

4.2.2.8. სააკუმულატორო, სარეზერვო ელექტრომომარაგების კვების სათავსო (დიზელგენერატორი);

4.2.2.9. თბომომარაგება (გათბობა);

4.2.2.10. მართვის ფარი და კონტეინერები;

4.2.2.11. აღრიცხვის და სარელო დაცვების კარადები;

4.2.2.12. სასერვეროები;

4.2.2.13. საკაბელო არხები;

4.2.2.14. ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების განთავსების არეალი;

4.2.2.15. ზეთმიმღები, ზეთშემკრები, წყალსარინი და სადრენაჟო სისტემები;

4.2.2.16. სანიტარული კვანძები (საპირფარეშო, საშხაპე).

##### **4.2.3. ტრავმის მიღების ძირითადი მიზეზი ხშირად ხდება:**

- 4.2.3.1. მოცურება (ფეხის დასხლეტა) სველ იატაკზე მორეცხვისას ან მის ზედაპირზე სითხის დაღვრის გამო და დაცემა;
- 4.2.3.2. არსებული გამტარების მოუწესრიგებლობის გამო მათში ფეხის წამოკვრა, გახლართვა;
- 4.2.3.3. დერეფნების, გასასვლელების ან ცალკეული სათავსოს ცუდი განათება;
- 4.2.3.4. კიბის უჯრედებში არათანაბარი სიმაღლის საფეხურების არსებობა;
- 4.2.3.5. გადაღლილობა ან სტრესი;
- 4.2.3.6. სხვადასხვა მოწყობილობებზე, საგნებზე და შვერილებზე სხეულის ნაწილების მირტყმა;
- 4.2.3.7. სხეულის ნაწილების ჩაყოლა სხვადასხვა მოწყობილობებში (მექანიკური, ხელის ან ელექტრო);
- 4.2.3.8. კარის ან ავეჯის ნაკვეთურები და მექანიზმები;
- 4.2.3.9. სიმაღლეზე წვდომისთვის გაუმართავი კიბეების ან სახელდახელოდ მოწყობილი სადგამების (წიგნების წყობა, აგურების დაწყობა და ა. შ) გამოყენება;
- 4.2.3.10. სიმაღლეზე სამუშაოებისას დამხმარე მექანიზმების გაუმართაობის ან დაზიანების შემთხვევაში ვარდნა;
- 4.2.3.11. რთული გეგმარების შენობაში მოძრაობის მიმართულების, გასასვლელების ჩახერგვა;
- 4.2.3.12. უსწორმასწორო ან დაზიანებული იატაკი (მოძრავი ფილა);
- 4.2.3.13. შეკიდული კონსტრუქციების ან მძიმე ნივთებით გადატვირთული თაროების ვარდნა;
- 4.2.3.14. სხეულის ნაწილების დამწვრობა მდუღარე წყლით, ორთქლით, დახურული ან ღია გამახურებლებით;
- 4.2.3.15. სახიფათო და მავნე აირების ჩასუნთქვა;
- 4.2.3.16. ქიმიური დამწვრობა (სახიფათო და მავნე სითხეები);
- 4.2.3.17. არასაკმარისი ვენტილაცია დახშულ სივრცეებში;
- 4.2.3.18. წნევის ქვეშ მყოფი სისტემების და დანადგარების დაზიანება;
- 4.2.3.19. საკაბელო არხებში სამუშაოები;
- 4.2.3.20. შედუღება და სამუშაოები ღია ცეცხლით;
- 4.2.3.21. მექანიკური, ელექტრული და სხვა სახის დაზიანებები საექსპლუატაციო, სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო და დიაგნოსტიკური სამუშაოები;
- 4.2.3.22. მაღალი ძაბვის დანადგარებში ელექტრომაგნიტური ველების გამოსხივება;

**4.2.4. ჩამოთვლილი ადგილებისა და მიზეზების გათვალისწინებით, ტექნოლოგიური სამუშაო სივრცეებისთვის შეიძლება განვსაზღვროთ რისკის ფაქტორები, რომლებიც გამოწვეულია:**

- 4.2.4.1. მოცურების (ფეხის დასხლეტის ან გასრიალების), წაქცევის, წაბორძიკების (ფეხის წამოკვრის) საშიშროება შიდა და გარე სივრცეებში, დერეფნებში, გასასვლელებში, კიბის საფეხურებზე, კონკრეტულ სათავსოში ცუდი განათების, უსწორმასწორო რელიეფის, დახლართული გამტარების ან სხვა უწესრიგოდ მიმოფანტული ნივთების გამო;
- 4.2.4.2. სამუშაო ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკური გარემოებებიდან

არათანაბარი ან სუსტი განათებით, არასწორი ვენტილაციით, ხმაურით, ვიბრაციით და ა.შ. გამომდინარე საშიშროებები;

- 4.2.4.3. სკამიდან ან სავარძლიდან (მათზე გადაზნექის, გაწევის ან გაჩოჩების დროს) გადმოვარდნის საშიშროება;
- 4.2.4.4. სიმაღლიდან ვარდნის საშიშროება;
- 4.2.4.5. სტელაჟებიდან და თაროებიდან მძიმე საგნების და ინსტრუმენტების ჩამოცვენის საშიშროება;
- 4.2.4.6. ადამიანზე შეჯახების საშიშროება;
- 4.2.4.7. მაგიდების ან სხვა ავეჯის მახვილ კუთხეებზე სხეული ნაწილების (თავი, მხარი, ხელი, ფეხი და სხვა) ჩამოკვრის ან მირტყმის საშიშროება;
- 4.2.4.8. ჭრილობის მიყენების საშიშროება ავეჯის წიბოებით, შვერილებით ან ბასრი საგნებით და ინსტრუმენტებით (საკანცელარიო დანა, ქაღალდი, მაკრატელი, სახრახნისი, ბურღი და ა. შ.)
- 4.2.4.9. დაძაბული სამუშაო პროცესის ან ერთდროულად რამდენიმე რთული გადაწყვეტილების მიღების დროს გადაღლის ან „პროფესიული გადაწვის“ საშიშროება;
- 4.2.4.10. რუტინული ანუ განმეორებადი სამუშაოს შესრულების გამო კონცენტრაციის შესუსტება;
- 4.2.4.11. სტრესულ და დაძაბულ გარემოში მუშაობა, როდესაც ორგანიზმის რეაქცია გარემო პირობების ნებისმიერი ტიპის ცვლილებაზე მორგებას და შეგუებას საჭიროებს. წარმოიშობა რთული სიტუაციის საპასუხოდ და იწვევს მუდმივად ფსიქოლოგიურ დაძაბულობას;
- 4.2.4.12. მძიმე სამუშაო პროცესის ან მძიმე ტვირთების გადაზიდვისას ფიზიკურად გადაღლის ან ჯანმრთელობის დაზიანების საშიშროება;
- 4.2.4.13. ელექტრომოწყობილობებთან მუშაობისას ელექტრო დენით დაზიანების საშიშროება;
- 4.2.4.14. არასწორი ერგონომიკა (სამუშაო მაგიდის არასწორი სიმაღლე, მოუხერხებელი სკამები, კომპიუტერის მონიტორსა და ადამიანის თვალს შორის არასწორი მანძილი და სხვა.), რომელიც წარმოშობს თვალის, წელის ან კისრის გადაძაბვის საშიშროებას;
- 4.2.4.15. დამწვრობის საშიშროება გამოწვეული ცხელი სითხეებით, აირებით, საგნებით, ელექტრული დენით ან რკალით;
- 4.2.4.16. საკვების ან სითხის მიღებით გამოწვეული მოწამვლის საშიშროება;
- 4.2.4.17. საევაკუაციო გზების ჩახერგვით გამოწვეული საშიშროება (ხანძარი, ადამიანების დიდი რაოდენობით თავშეყრა);
- 4.2.4.18. ხანძრისგან ან აფეთქებისგან გამოწვეული საშიშროება (შუშების მსხვრევით, მაღალი ტემპერატურით, კვამლით ან წვის პროდუქტებით ხუთვა და ღია ალით დამწვრობის მიღება);
- 4.2.4.19. ტექნოგენური ან ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციის (ნგრევა, ჩამონგრევა, კონსტრუქციების ან ცალკეული სამშენებლო დეტალების ცვენა, ბზარების და ნაპრალეების გაჩენა, მიწისძვრა, ქარიშხალი და ა. შ.) წარმოშობის საშიშროება;
- 4.2.4.20. შექმნილი საგანგებო სიტუაციების დროს (ხანძარი, ნგრევა, მსხვრევა და ა. შ.) პირველადი რეაგირების საშუალებების (ცეცხლმაქრი, რესპირატორი, სახანძრო ნაჯახი და სხვა) არასწორად გამოყენებით ტრავმების მიღების საშიშროება

(სუნთქვის ან მხედველობის ორგანოების დაზიანება).

### **4.3. საველე სამუშაო სივრცეები**

- 4.3.1. ჯანმრთელობაზე სავარაუდო ზიანის (ყველაზე გავრცელებული ტრავმების) ნუსხა საველე სამუშაო სივრცეში დასაქმებული მუშაკებისთვის:**
- 4.3.1.1. მოტეხილობა;
  - 4.3.1.2. ღრძობა;
  - 4.3.1.3. დაჭიმვა;
  - 4.3.1.4. დაჟეჟილობა, ჭრილობა, შინაგანი და გარეგანი სისხლდენა;
  - 4.3.1.5. სმენის, მხედველობის დაზიანება;
  - 4.3.1.6. დამწვრობა;
  - 4.3.1.7. გადაციება;
  - 4.3.1.8. ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება, რადიაცია;
  - 4.3.1.9. სასუნთქი გზების დაზიანება;
  - 4.3.1.10. მაღალი/დაბალი არტერიული წნევა;
  - 4.3.1.11. შოკური მდგომარეობა (გონების დაკარგვა, ანაფილაქსიური შოკი);
  - 4.3.1.12. ელექტროდენისაგან დაზიანება;
  - 4.3.1.13. სტრესი;
  - 4.3.1.14. მოწამვლა.**
- 4.3.2. აღნიშნული ტრავმები მოსალოდნელია ტექნოლოგიურ საველე სამუშაო სივრცეებში:**
- 4.3.2.1. სიმაღლეზე მუშაობა (სახაზო არმატურის მონტაჟისას ან შეცვლისას);
  - 4.3.2.2. სიმაღლეზე მუშაობა კონსტრუქციებზე, მოწყობილობებსა და დანადგარებზე;
  - 4.3.2.3. საველე პირობებში საკვების მომზადებისას და მიღებისას;
  - 4.3.2.4. სარეზერვო ელექტრომომარაგება (დიზელგენერატორი);
  - 4.3.2.5. ქვაბულები, თხრილები;
  - 4.3.2.6. საველე სანიტარული კვანძები (გადასაადგილებელი საპირფარეშო, საშხაპე).
- 4.3.3. ტრავმის მიღების ძირითადი მიზეზი ხშირად ხდება:**
- 4.3.3.1. მოცურება (ფეხის დასხლეტა), დაცემა სველ, მოყინულ ან სრიალა ნიადაგზე და მოწყობილობებზე;
  - 4.3.3.2. არსებული გამტარების მოუწესრიგებლობის გამო მათში ფეხის წამოკვრა, გახლართვა;
  - 4.3.3.3. ცალკეული სამუშაო ადგილის ცუდი განათება;
  - 4.3.3.4. გადასაადგილებელი კიბის არათანაბარი სიმაღლის საფეხურების არსებობა;
  - 4.3.3.5. გადაღლილობა, სტრესი და მოუხერხებელი სამუშაო ადგილი;
  - 4.3.3.6. სხვადასხვა მოწყობილობებზე, საგნებზე და შვერილებზე სხეულის ნაწილების მირტყმა;
  - 4.3.3.7. სხეულის ნაწილების ჩაყოლა სხვადასხვა მოწყობილობებში (მექანიკური, ხელის ან ელექტრო), ნაკვეთურებსა და

მექანიზმებში;

- 4.3.3.8. სიმაღლეზე წვდომისთვის გაუმართავი კიბეების ან სახელდახელოდ მოწყობილი სადგამების გამოყენება;
- 4.3.3.9. სიმაღლეზე სამუშაოებისას დამხმარე მექანიზმების გაუმართაობის ან დაზიანების შემთხვევაში ვარდნა;
- 4.3.3.10. რთული რელიეფის პირობებში სამუშაო
- 4.3.3.11. უსწორმასწორო ან დაზიანებული ნიადაგი, ორმო და თხრილი;
- 4.3.3.12. სიმაღლეზე არსებული კონსტრუქციების, მასალების და ინსტრუმენტების ვარდნა;
- 4.3.3.13. სხეულის ნაწილების დამწვრობა მდუღარე სითხით, ორთქლით, საგნით, დახურული ან ღია გამაცხელებლებით;
- 4.3.3.14. სახიფათო და მავნე აირების ჩასუნთქვა;
- 4.3.3.15. წნევის ქვეშ მყოფი სისტემების და დანადგარების დაზიანება;
- 4.3.3.16. შედუღება და სამუშაოები ღია ცეცხლით;
- 4.3.3.17. მექანიკური, ელექტრული და სხვა სახის დაზიანებები საექსპლუატაციო, სამშენებლო, სამონტაჟო, სარემონტო და დიაგნოსტიკური სამუშაოებისას;
- 4.3.3.18. მაღალი ძაბვის დანადგარებში ელექტრომაგნიტური ველების გამოსხივება;
- 4.3.3.19. სამუშაოების წარმოება რთულ მეტეოპირობებში (ყინვა, სიციხე, ძლიერი ქარი, სეტყვა, თოვლი, ნისლი და ა.შ.).

**4.3.4. ჩამოთვლილი ადგილებისა და მიზეზების გათვალისწინებით, შეიძლება საველე სამუშაო სივრცეებში განვსაზღვროთ რისკის ფაქტორები, რომლებიც გამოწვეულია შემდეგი საფრთხეებიდან:**

- 4.3.4.1. მოცურების (ფეხის დასხლეტის ან გასრიალების), წაქცევის, წაბორძიკების (ფეხის წამოკვრის) საშიშროება კონსტრუქციებზე, თხრილებზე, უსწორმასწორო რელიეფზე გადაადგილებისას, სიმაღლეზე ასვლისას, არასაკმარისი განათების, დახლართული გამტარების ან სხვა უწყესრიგოდ მიმოფანტული ნივთების გამო;
- 4.3.4.2. სამუშაო ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკური გარემოებებიდან არათანაბარი ან სუსტი განათებით, ხმაურით, ვიბრაციით და ა.შ. გამომდინარე საშიშროებები;
- 4.3.4.3. სიმაღლიდან ვარდნის საშიშროება: კონსტრუქციებიდან, მოწყობილობებიდან და ამწე მექანიზმებიდან (მათზე გადაზნექის, გაწევის ან გაჩოჩების დროს);
- 4.3.4.4. სტელაჟებიდან, კონსტრუქციებიდან მძიმე საგნების და ინსტრუმენტების ჩამოცვენის საშიშროება;
- 4.3.4.5. ადამიანზე შეჯახების საშიშროება;
- 4.3.4.6. მოძრავ მანქანებთან და დანადგარებთან შეჯახებით დაზიანების მიღება;
- 4.3.4.7. მოწყობილობების, მწვანე ნარგავების (ბუჩქი, ხე) შვერილებზე სხეულის ნაწილების (თავი, მხარი, ხელი, ფეხი და სხვა) ჩამოკვრის ან მირტყმის საშიშროება;
- 4.3.4.8. ჭრილობის მიყენების საშიშროება მოწყობილობების წიბოებით, შვერილებით, მბრუნავი მექანიზმებით ან ბასრი საგნებით და ინსტრუმენტებით (საკანცელარიო დანა, ქაღალდი, მკრატელი, სახრახნისი, ბურღი და ა. შ.);
- 4.3.4.9. დამაბული სამუშაო პროცესის ან ერთდროულად რამდენიმე



- რთული გადაწყვეტილების მიღების დროს გადაღლის ან „პროფესიული გადაწვის“ საშიშროება;
- 4.3.4.10. რუტინული ანუ განმეორებადი სამუშაოს შესრულების გამო კონცენტრაციის შესუსტება;
  - 4.3.4.11. სტრესულ და დამაბულ გარემოში მუშაობა, როდესაც ორგანიზმის რეაქცია გარემო პირობების ნებისმიერი ტიპის ცვლილებაზე მორგებას და შეგუებას საჭიროებს.
  - 4.3.4.12. მძიმე სამუშაო პროცესის ან მძიმე ტვირთების გადაზიდვისას ფიზიკურად გადაღლის ან ჯანმრთელობის დაზიანების საშიშროება;
  - 4.3.4.13. ელექტრომოწყობილობებთან მუშაობისას ელექტრო დენით დაზიანების საშიშროება;
  - 4.3.4.14. არასწორი ერგონომიკა (სამუშაო არასწორი სიმაღლე, მოუხერხებელი, კუსტარული ხარაჩოები და სხვა.), რომელიც წარმოშობს თვალის, წელის ან კისრის გადაძაბვის საშიშროებას;
  - 4.3.4.15. დამწვრობის საშიშროება გამოწვეული ცხელი სითხეებით, აირებით, საგნებით, ელექტრული დენით ან რკალით;
  - 4.3.4.16. საკვების ან სითხის მიღებით გამოწვეული მოწამვლის საშიშროება;
  - 4.3.4.17. საევაკუაციო გზების ჩახერგვით გამოწვეული საშიშროება (ხანძარი, ადამიანების დიდი რაოდენობით თავშეყრა);
  - 4.3.4.18. ხანძრისგან ან აფეთქებისგან გამოწვეული საშიშროება (მაღალი ტემპერატურით, კვამლით ან წვის პროდუქტებით ხუთვა და ღია ალით დამწვრობის მიღება);
  - 4.3.4.19. ტექნოგენური ან ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციის (ნგრევა, ჩამონგრევა, კონსტრუქციების ან ცალკეული სამშენებლო დეტალების ცვენა, ბზარების და ნაპრალების გაჩენა, მიწისძვრა, ქარიშხალი და ა. შ.) წარმოშობის საშიშროება;
  - 4.3.4.20. შექმნილი საგანგებო სიტუაციების დროს (ხანძარი, ნგრევა, მსხვრევა და ა. შ.) პირველადი რეაგირების საშუალებების (ცეცხლმაქრი, რესპირატორი, სახანძრო ნაჯახი და სხვა) არასწორად გამოყენებით ტრავმების მიღების საშიშროება (სუნთქვის ან მხედველობის ორგანოების დაზიანება).


სსე-ის ყველა დონის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი და სხვა დასაქმებულები პასუხისმგებლები არიან სამუშაო სივრცეში, სამუშაო პროცესების სპეციფიკიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების პროცესის მუდმივ მართვაზე, მასთან დაკავშირებული მონაცემების სისრულეზე, მთლიანობასა და სიზუსტეზე. დეტალური ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემის შესახებ იხილეთ „დანართი-2“ - ში.

**შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემა**

**შესავალი**

სსე-ს შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს: რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მათზე რეაგირების და მონიტორინგის წესების, დოკუმენტების, პროცესების და ღონისძიებების ერთობლიობას.

შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემის ორგანიზაციული მოდელი დაფუძნებულია დაგეგმვის, დანერგვის, შეფასებისა და სრულყოფის ღონისძიებებზე.



სსე-ში ნებისმიერი სამუშაო პროცესის დაწყებამდე (რეგულარული, არარეგულარული, ყოველდღიური, დაგეგმილი და დაუგეგმავი, როგორც სსე-ს პერსონალის, ასევე სხვა პირის (კონტრაქტორი, ვიზიტორი) მიერ) განისაზღვრება სამუშაო სივრცეში არსებული პროფესიული რისკის შეფასების კრიტერიუმები, საფრთხის გავლენის დონეები, საკონტროლო ღონისძიებების მოთხოვნები და შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, სამუშაო პროცესის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საჭირო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/გატარებას.

წინამდებარე დოკუმენტი (დანართი-2) განიხილავს პროფესიული რისკების მართვის მექანიზმებს, რომლებიც ითვალისწინებს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების შესრულებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას. ასევე, სსე-ს შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემის ფარგლებში დასაქმებულების კვალიფიკაციის, ჯანმრთელობის, აღჭურვის, უბედური შემთხვევის აღრიცხვისა და მოკვლევის საკითხებს.

**1. პროფესიული რისკების მართვა**

**საფრთხე** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას (საქართველოს ორგანული კანონის შრომის უსაფრთხოების შესახებ).

**პროფესიული რისკი** — პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საწარმოო გარემოსა

და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის უშუალო და პირდაპირი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

**რისკი** — საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

$$\text{რისკი} = \sum (\text{ალბათობა} \times \text{შედეგი})$$

**პროფესიული რისკის მართვა** — ეს არის რისკის პარამეტრებზე ზემოქმედება, ანუ ალბათობის და შესაძლო შედეგების შემცირება.

პროფესიული რისკები (ანუ სხვადასხვა დაშავებისა ან უბედური შემთხვევების მოხდენის ალბათობა) მოიცავს **ტრავმებს ან უბედურ შემთხვევებს**, რომლის კვალიფიცირებასაც ახდენენ დაზიანების (დაშავების) სიმძიმის ხარისხის მიხედვით:

1. **მსუბუქი უბედური შემთხვევა** - უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;
2. **საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა** - უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;
3. **მძიმე უბედური შემთხვევა** - უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარიანობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარიანობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;
4. **ფატალური უბედური შემთხვევა** - უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;
5. **მასობრივი უბედური შემთხვევა** - უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

სსე-ს საწარმოო გარემოს, სამუშაო სივრცეების, სტრუქტურული ერთეულების, პროცესების და მათთან დაკავშირებული საფრთხეების ჩამონათვალი იხილეთ „დანართი 1“-ში.

### 1.1. რისკების შეფასების ზოგადი პროცესი

რისკების შეფასება წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, დასაქმებულებისა და სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების, რისკების დონის შეფასების და საკონტროლო ზომების განსაზღვრის და განხორციელების პროცესს, რომლებიც ამ რისკების თავიდან აცილებაზე ან მინიმუმამდე დაყვანაზეა ორიენტირებული.

სსე-ში საწარმოო გარემოს და სამუშაო პროცესის გათვალისწინებით, წარმოებს არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება, მათგან მომდინარე რისკების შეფასება და შესაბამისი საკონტროლო ღონისძიებების დანერგვა – განხორციელება.

რისკის შეფასება შედგება ხუთი საფეხურისაგან:

- ა) საფრთხეების იდენტიფიცირება;
- ბ) პირთა წრის განსაზღვრა;
- გ) რისკის შეფასება – საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა;
- დ) საკონტროლო ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირის და პრევენციული აქტივობების ვადების განსაზღვრა;
- ე) შედეგების დოკუმენტირება და მონიტორინგი.

საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის შეფასება ხორციელდება არა შერჩევის პრინციპით, არამედ მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე. პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე, რისკების შეფასება სავალდებულოა განხორციელდეს საქმიანობის ან/და დასახული ამოცანის შესრულების დაწყებამდე.

### 1.2. რისკების შეფასების ფორმა

ზემოთ აღნიშნული პროცესის გათვალისწინებით ხორციელდება რისკის შეფასების ფორმის შევსება.

შემფასებლის სახელი და გვარი:		თარიღი:		დრო:	
შეიტანხმა სახელი და გვარი:		თარიღი:		დრო:	
სამუშაო ობიექტის დასახელება:					
სამუშაოს მოკლე აღწერა:					

საფრთხეთა იდენტიფიცირება	ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დაზარალების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატებითი კონტროლის ზომები	ნარჩენი რისკი			გასატარებელი ზომები / რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი / ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					ა	შ	რ		ა	შ	რ			

„ა“ - ალბათობა; „შ“ - შედეგი; „რ“ - რისკი

### 1.3. რისკების დონეების განსაზღვრა

ზემოაღნიშნული საფრთხეების, სამუშაო ადგილების და ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით ხორციელდება ალბათობის და შედეგების შეფასება.

**რისკი** =  $\sum$  (ალბათობა x შედეგი)

ალბათობა	შედეგი
1 = ძალიან საეჭვოა;	1 = უმნიშვნელო – დაზიანების გარეშე;
2 = საეჭვოა;	2 = მცირე – დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას;
3 = შესაძლებელია;	3 = ზომიერი – დროებითი შრომისუუნარობა;
4 = სავარაუდოა;	4 = სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა;
5 = განსაზღვრულია.	5 = კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუუნარობა.

#### 1.4. რისკის შეფასების მატრიცა

რისკის დონის შეფასება ხდება საფრთხეების ალბათობისა და შედეგების გათვალისწინებით. **რისკი** = ალბათობა x შედეგზე

არაარსებითი საწყისი რისკის დონის შემთხვევაში რისკი მისაღებია, სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია მონიტორინგის (მეთვალყურეობა) გათვალისწინებით. შესაძლებელია შემუშავდეს დამატებით რისკის შემცირების პროცედურები.

არსებითი და კრიტიკული საწყისი რისკის დონეების შემთხვევაში საჭიროა დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები, განისაზღვროს პრიორიტეტები. განმეორებით შეფასდეს შემდგომი საფრთხის ალბათობა და შედეგი, გადაანგარიშდეს **ნარჩენი რისკი**, მისი არაარსებითი მნიშვნელობის შემთხვევაში განხორციელდეს სამუშაოების ჩატარება მონიტორინგის გათვალისწინებით.

არსებითი მნიშვნელობის **ნარჩენი რისკის** დროს, როცა დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, დამსაქმებელი ვერ ახერხებს სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას სრული მოცულობით კონტროლის იერარქიის გათვალისწინებით, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და სხვა აუცილებელი დოკუმენტების განხილვის შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ამასთანავე, შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა შეიზღუდოს დასაქმებულებზე მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედების დრო (დროით დაცვა). ამასთან, ყოველმა დასაქმებულმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია შრომის პირობების, მათი მავნეობის ხარისხის, ჯანმრთელობისათვის შესაძლო მავნე, არახელსაყრელი შედეგების, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების, მავნე ფაქტორთან კონტაქტის დროის შემცირების ზომების შესახებ.

**კრიტიკული ნარჩენი რისკების** შემთხვევაში სამუშაოების ჩატარება მიუღებელია და აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებები რისკების შესამცირებლად.

შედეგი	20-25	5 - 16	3 - 4
	კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
<b>საჭირო ღონისძიებები</b>	სამუშაო უნდა შეჩერდეს. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები რისკის შესამცირებლად.	საოპერაციო პროცედურები და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ დაიგეგმოს რისკის შემცირების საკონტროლო ღონისძიებები. შეფასდეს პრიორიტეტები.	სამუშაოს შესრულების მონიტორინგი. შემუშავდეს რისკის შემცირების პროცედურები/ საკონტროლო ღონისძიებები.

რისკების კატეგორიები სიმძიმის მიხედვით

<p><b>კრიტიკული</b> (20 – 25)</p>	<p>კრიტიკული შეუსაბამობა – მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა</p>	<p>სამუშაოები უნდა შეჩერდეს დაუყოვნებლივ</p>
<p><b>ძალიან მაღალი</b> (10 – 16)</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის</p>	<p>ღონისძიებების გატარება სავალდებულოა დაუყოვნებლივ, სამუშაოების შეჩერების გარეშე</p>
<p><b>მაღალი</b> (5 - 9)</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის</p>	<p>გონივრულ ვადებში მიიღეთ ზომები შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით (სავალდებულოა)</p>
<p><b>საშუალო</b> (3 – 4)</p>	<p>არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის</p>	<p>ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ</p>
<p><b>დაბალი</b> (1 - 2)</p>	<p>მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი)</p>	<p>ზომების მიღება არ არის სავალდებულო</p>

## 1.5. საკონტროლო ღონისძიებების იერარქია

რისკის კონტროლის შესაბამისი იერარქიის არჩევისას, არსებული სამუშაო გარემოს სპეციფიკისა და თავისებურებებიდან გამომდინარე პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კონტროლის იერარქიის პირველ საფეხურს (საფრთხის აღმოფხვრა), ხოლო დასაბუთებული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, თუ ვერ ხერხდება კონტროლის იერარქიის სრული დაცვა, შეირჩეს დადამავალი მიმართულებით უპირატესი საკონტროლო ღონისძიებიდან ბოლო საფეხურამდე.



- 1.5.1. რისკების დონის განსაზღვრით იგეგმება სამუშაოების შესრულებისათვის პრევენციული ღონისძიებები. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი კონტროლის იერარქია:
  - 1.5.1.1. **საფრთხის აღმოფხვრა** – რისკის პირველადი წყაროს წარმომქმნელი საფრთხის აღმოფხვრა. შესაძლებელია განხორციელდეს რისკის შემცველი სამუშაო აქტივობის სრულად გამორიცხვით, შრომითი პროცესის ცვლილებით და ა.შ;
  - 1.5.1.2. **საფრთხის შემცირება/ჩანაცვლება** - საფრთხის მთლიანად აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში, არსებული საფრთხის შემცირება მის წარმომქმნელ პირველად წყაროში. შესაძლებელია განხორციელდეს არსებული საფრთხის მოდიფიცირებით, შრომითი პროცესის ცვლილებით, დამატებითი საინჟინრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით, რომელიც ორიენტირებული იქნება საფრთხის შემცირებისკენ;
  - 1.5.1.3. **საფრთხესთან ადამიანების კონტაქტის პრევენცია (იზოლირება)** - საფრთხის აღმოფხვრის ან ჩანაცვლების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადამიანების საფრთხის წყაროსთან კონტაქტის პრევენცია შესაძლებელია მიღწეულ იქნას შრომითი პროცესის ცვლილებით, დამატებითი საინჟინრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით, საფრთხის მიუწვდომელ ადგილზე განთავსებით;
  - 1.5.1.4. **შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვა** - წესებისა და პროცედურების კრებული, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ შრომით აქტივობას. ეს შეიძლება მოიცავდეს სამუშაო ნებართვის სისტემას შრომითი საქმიანობის განხორციელებისათვის. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული არის სხვადასხვა მოწყობილობების ოპერირების მარტივი ინსტრუქციების კომპლექტი. სხვა შემთხვევაში იგი არის კომპლექსური წესები და პროცედურები, რომლებითაც დასაქმებული ხელმძღვანელობს სამუშაოს უსაფრთხოდ შესასრულებლად;
  - 1.5.1.5. **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ი.დ.ს.)** - სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოყენებული ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ჩაფხუტი (ჩაჩქანი), სათვალე და ა.შ. ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულზე საფრთხის შემცველი ფაქტორების გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად.

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით სსე-ში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი, თუ რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკის შემცირების მიზნით განხორციელებული აქტივობების პროცესი. ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების შეფასებას.

## 1.6. რისკების შეფასების მონიტორინგი/კონტროლი

სსე-ში დასაქმებულები და სხვა პირები სამუშაოების დაწყებამდე სავალდებულო წესით განიხილავენ და ეცნობიან მათ სამუშაო სივრცეში რისკების შეფასების შეთანხმებულ დოკუმენტს.

რისკების შეფასების მონაცემების და შედეგების გადახედვა/განახლება დამოკიდებულია იდენტიფიცირებული ახალი საფრთხის, გარემო პირობების, საწარმოო ტექნიკურ/ტექნოლოგიური პროცესის და დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილის/სივრცის ცვლილების, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ან სხვა იმ გარემოების არსებობაზე, რამაც შეიძლება წარმოშვას ახალი საფრთხე.

ცვლილებების არ არსებობის შემთხვევაში რისკების შეფასების გადახედვა/განახლება უნდა განხორციელდეს შემდეგი პერიოდულობით:

- 1.6.1. ძალიან მაღალი რისკის სექტორები (ტექნოლოგიური (გარდა ლოგისტიკის დეპარტამენტის სასაწყობო მეურნეობებისა და ავტოფარებისა) და სავალდებულო სამუშაო სივრცეები) – 15 კალენდარული დღის ვადაში;
- 1.6.2. მაღალი რისკის სექტორები (ლოგისტიკის დეპარტამენტის სასაწყობო მეურნეობა, ავტოფარები) – 30 კალენდარული დღის ვადაში;
- 1.6.3. დაბალი რისკის სექტორები (საოფისე სამუშაო სივრცე) – 6 თვის ვადაში.

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული პუნქტის (პროფესიული რისკების მართვა) ჩამოყალიბებაში გამოყენებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესი“.

## 2. სსე-ს პერსონალის სწავლება, ჯანმრთელობის პერიოდული შემოწმება და დამცავი აღჭურვილობა

სსე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით სსე-ს შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფს დასაქმებულებისათვის შესაბამისი ტრენინგების, სწავლებების, ინსტრუქტაჟების სისტემატურ ჩატარებას, ჯანმრთელობის პერიოდულ შემოწმებას და ინდივიდუალური/კოლექტიური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას.

### 2.1. ტრენინგები, ვარჯიშები, სწავლებები და ინსტრუქტაჟები:

სსე ზრუნავს პერსონალის უნარების, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მუდმივ განვითარებაზე.

სსე-ში ფუნქციონირებს სასწავლო და ტრენინგ ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულების როგორც კანონმდებლობით და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული სავალდებულო პროგრამებით, ასევე ზოგადი უნარების განვითარების კურსებით.

გარკვეული სპეციალობის დასაქმებულთათვის ყოველწლიურად ტარდება სწავლება და ხორციელდება ცოდნის შემოწმება ხუთ სავალდებულო დისციპლინაში:

- ტექნიკური ექსპლუატაციის წესები (ტეწ);
- უსაფრთხოების ტექნიკის წესები (უტწ);



- პირველადი დახმარების წესები (პდწ);
- სახანძრო უსაფრთხოების წესები (სუწ);
- შრომის უსაფრთხოების წესები (შუწ).

აღნიშნულ დისციპლინებში ცოდნის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით პერსონალს ენიჭება კვალიფიკაციის შესაბამისი I, II, III, IV ან V ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ამ პერსონალის პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს სამუშაოთა უსაფრთხოდ ჩატარებაზე. საკვალიფიკაციო მოწმობა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს წარმომდგენის უფლებას, დამოუკიდებლად შეასრულოს მითითებული თანამდებობის (პროფესიის) შესაბამისი სამუშაო.

I ჯგუფის მინიჭება ხორციელდება უსაფრთხო მუშაობის და პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების და შემდგომი ზეპირი ცოდნის შემოწმება/გამოკითხვით. II, III, IV და V საკვალიფიკაციო ჯგუფის მინიჭება ხორციელდება შესაბამის დისციპლინებში (ტეწ, უტწ, პდწ, სუწ, შუწ) სწავლება-ტრენინგის გავლის და ცოდნის შემოწმების შედეგების გათვალისწინებით. სსე-ს მონიტორინგის დეპარტამენტის ტექნიკური უსაფრთხოების და ინსპექციის სამსახურის მიერ პერსონალზე გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა.

სსე-ს გენერალური დირექტორის მიერ ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის სამუშაოს სპეციფიკაციის, გამოცდილების და კვალიფიკაციის გათვალისწინებით მტკიცდება „პასუხისმგებელ პირთა ოპერატიული სია“, რომლითაც განსაზღვრულია აღნიშნული პერსონალის სხვადასხვა სამუშაო სივრცეში უფლება-მოვალეობები.

- 2.1.1. **I ჯგუფი ვრცელდება** არაელექტროტექნიკურ პერსონალზე. პერსონალს ელექტროუსაფრთხოების წესებში ინსტრუქტაჟის და გასაუბრების შემდეგ მიეკუთვნება I ჯგუფი სათანადო ფორმის ჟურნალში გაფორმებით. I ჯგუფს ანიჭებს ზემოხსენებული ოპერატიული სიით დამტკიცებული არანაკლებ III ჯგუფის მქონე პასუხისმგებელი პირი.
- 2.1.2. **II ჯგუფის მქონე პერსონალს მოეთხოვება:**
  - 2.1.2.1. ელემენტარული ტექნიკური ცოდნა ელექტროდანადგარების და მისი მოწყობილობების შესახებ;
  - 2.1.2.2. მკაფიო წარმოდგენა ელექტროდენით გამოწვეულ და დენგამტარ ნაწილებთან მიახლოების საფრთხეებზე;
  - 2.1.2.3. ელექტროდანადგარებთან მუშაობისას უსაფრთხოების ძირითადი ღონისძიებების ცოდნა;
  - 2.1.2.4. დაზარალებულებისათვის პირველადი დახმარების ჩატარების პრაქტიკული ჩვევები.
- 2.1.3. **III ჯგუფის მქონე პერსონალს მოეთხოვება:**
  - 2.1.3.1. ელემენტარული ცოდნა ზოგად ელექტროტექნიკაში;
  - 2.1.3.2. ელექტროდანადგარის და მისი ტექნიკური მომსახურების ცოდნა;
  - 2.1.3.3. უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი წესების, მათ შორის, სამუშაოზე დაშვების წესების და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სპეციალური მოთხოვნების ცოდნა;
  - 2.1.3.4. სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფის და ელექტროდანადგარებში მომუშავეებზე ზედამხედველობის უნარი;
  - 2.1.3.5. ელექტროდენისაგან დაზარალებულის გათავისუფლების, პირველადი დახმარების აღმოჩენის წესების ცოდნა და დაზარალებულისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის უნარი.
- 2.1.4. **IV ჯგუფის მქონე პერსონალს მოეთხოვება:**
  - 2.1.4.1. ელექტროტექნიკის ცოდნა სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოცულობით;
  - 2.1.4.2. სრული წარმოდგენა ელექტროდანადგარებში მუშაობისას საფრთხის, მისი იდენტიფიცირების და რისკების მართვის შესახებ;

- 2.1.4.3. წინამდებარე უსაფრთხოების ტექნიკის წესების, ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის, მოწყობის და სახანძრო უსაფრთხოების წესების ცოდნა დაკავებული თანამდებობის შესაბამისი მოცულობით;
- 2.1.4.4. მომსახურების უბნის ელექტროდანადგარების და ელექტრომოწყობილობების სქემების ცოდნა, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების ტექნიკური ღონისძიებების ცოდნა;
- 2.1.4.5. ინსტრუქტაჟის ჩატარების, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზების და ბრიგადის წევრებზე ზედამხედველობის განხორციელების უნარი;
- 2.1.4.6. დენის ზემოქმედებისაგან დაზარალებულის განთავისუფლების, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების ცოდნა და დაზარალებულისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის უნარი;
- 2.1.4.7. პერსონალისათვის უსაფრთხოების ტექნიკის წესების და პირველადი სამედიცინო დახმარების პრაქტიკული ხერხების სწავლების უნარი.
- 2.1.5. **V ჯგუფის მქონე პერსონალს მოეთხოვება:**
  - 2.1.5.1. ელექტროდანადგარების სქემების, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მოწყობილობების შეთანწყობის (გაერთმთლიანების) ცოდნა;
  - 2.1.5.2. სრული ცოდნა ელექტროდანადგარებში მუშაობისას საფრთხის, მისი იდენტიფიცირების და რისკების მართვის შესახებ;
  - 2.1.5.3. წინამდებარე წესების, დამცავი საშუალებების გამოყენების და გამოცდის წესების ცოდნა, მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რით არის გამოწვეული წინამდებარე წესების ესა თუ ის მოთხოვნა;
  - 2.1.5.4. ტექნიკური ექსპლუატაციის, ელექტროდანადგარების მოწყობის და სახანძრო უსაფრთხოების წესების ცოდნა დაკავებული თანამდებობების შესაბამისი მოცულობით;
  - 2.1.5.5. სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზების და ნებისმიერი ძაბვის მოწყობილობებზე სამუშაოს უშუალოდ ხელმძღვანელობის უნარი;
  - 2.1.5.6. მომუშავეების ინსტრუქტაჟის დროს უსაფრთხოების ღონისძიებებზე მოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და განმარტების უნარი;
  - 2.1.5.7. უსაფრთხოების ტექნიკის წესები და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პრაქტიკული ხერხების სწავლების უნარი.

სწავლება, ტრენინგი, ინსტრუქტაჟი ტარდება სამუშაო საათებში. ხოლო აღნიშნული მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეები ითვლება საპატიოდ და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ.

სსე-ს კუთვნილ სასწავლო ცენტრში ყოველწლიურად წარმოებს დასაქმებულების სწავლება-გადამზადება ზემოხსენებულ ხუთ სავალდებულო დისციპლინაში. პროფესიული სასწავლო პროგრამის ჩამტარებელი ლექტორები/ტრენერები არიან სსე-ის კვალიფიციური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სსე-ის სასწავლო ცენტრში აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს სწავლის თანამედროვე მეთოდების ეფექტურ დანერგვას სწავლის პროცესში. მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია სასწავლო პოლიგონი, სადაც განთავსებულია ძალოვანი ტრანსფორმატორი, დენის და ძაბვის ტრანსფორმატორები, ამომრთველები, გამთიშველები, ანძები, პორტალები და სხვა ელექტროდანადგარები.

**სსე-ში დასაქმებულებს შრომის უსაფრთხოების საკითხებში სწავლება, ტრენინგი და ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

- 2.1.6. შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი ნორმები და უსაფრთხო შრომის პრინციპები;

- 2.1.7. სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების და შეკეთების ინსტრუქციები და სახელმძღვანელო მასალა;
- 2.1.8. საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები და მათი განხორციელება;
- 2.1.9. არსებული საფრთხის იდენტიფიცირება, რისკის შეფასება და მათი კონტროლის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები;
- 2.1.10. სამუშაო სივრცეში არსებული პროფესიული რისკები და მავნე ფაქტორები.

## 2.2. დასაქმებულისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარების ზოგადი მოთხოვნები:

სსე-ს სამუშაო სივრცეებში მყოფი დასაქმებულები და სხვა პირები გადიან შესაბამის ინსტრუქტაჟებს. კერძოდ:

- 2.2.1. **შესავალი ინსტრუქტაჟი** უტარდება სამუშაოზე მიღებულ ყველა პირს, მიუხედავად მისი განათლების, პროფესიის ან მუშაობის გამოცდილებისა, აგრეთვე მოვლინებულ პერსონალს. შესავალი ინსტრუქტაჟის მიზანია - საწარმოში შრომის პირობებისა და შრომის დაცვის საერთო მდგომარეობის გაცნობა; ინსტრუქტირებული შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით ადასტურებს ინსტრუქტაჟის გაცნობას;
- 2.2.2. **პირველადი ინსტრუქტაჟი** სამუშაო ადგილზე უტარდება საწარმოში (კომპანიაში) ყველა ახლადმიღებულს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულ მუშაკს, მოვლინებულ პერსონალს, საწარმოო სწავლებაზე ან პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს, აგრეთვე მუშაკებს, რომლებიც მათთვის ახალ სამუშაოს ასრულებენ. ინსტრუქტაჟის მიზანია - კონკრეტულ სამუშაო ადგილზე კონკრეტული საწარმოო მდგომარეობის და შრომის უსაფრთხო წესების გაცნობა;
- 2.2.3. **გეგმიური (პერიოდული) ინსტრუქტაჟი** უტარდება ყველა მუშაკს მათი კვალიფიკაციის, განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიუხედავად, რათა აიმაღლონ და განიმტკიცონ ცოდნა შრომის დაცვის საკითხებში;
- 2.2.4. **რიგგარეშე ინსტრუქტაჟი** ტარდება საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების გარჩევის, ასევე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევების გამოვლენის დროს, რომელთაც არ გამოიწვიეს, მაგრამ შეეძლოთ გამოეწვიათ ტრავმა, ავარია (ასეთ დროს ინსტრუქტაჟს უტარებენ მუშაკებს, რომლებიც არიან აღნიშნული ინციდენტის თანამონაწილენი ან/და აქვთ შრომის ანალოგიური პირობები);
- 2.2.5. **მიზნობრივი ინსტრუქტაჟი** ტარდება სამუშაო ადგილზე ელექტროდანადგარში კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე, რომელშიც მონაწილეობს განწესით ან განკარგულებით განსაზღვრული ყველა პირი, განწესის ან განკარგულების გამცემიდან - ბრიგადის წევრებამდე;
- 2.2.6. **პერსონალის ინსტრუქტაჟი ტარდება:**
  - 2.2.6.1. დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
  - 2.2.6.2. დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
  - 2.2.6.3. ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე.

### **2.3. პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი, პირველადი და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა**

სსე-ს ყველა სამუშაო სივრცეში ყველა დასაქმებულისათვის ხელმისაწვდომია პირველადი დახმარების სამედიცინო ავთიაქები.

სსე-ის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით. 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია ოჯახის ექიმის კონსულტაცია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №215/ნ - „დამსაქმებლის ხარჯით დასაქმებულის სავალდებულო პერიოდული სამედიცინო შემოწმების შემთხვევათა ჩამონათვალისა და წესის“ მოთხოვნათა დაცვით სსე 3 წელიწადში ერთხელ უზრუნველყოფს სავალდებულო პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას შემდეგი დასაქმებულისათვის:

- ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ტრანსპორტის მართვასთან და მოძრაობის უსაფრთხოებასთან;
- აგრესიულ სიტუებთან, მაიონებელი გამოსხივებისა და ელექტრომაგნიტური ველის წყაროებთან დაკავშირებული საქმიანობები;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-79/ნ - „ღამის სამუშაოზე წლიური სამუშაო დროის პროპორციული განაკვეთის განსაზღვრის და ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირისთვის წინასწარი (დასაქმებამდე) და შემდგომი პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების პერიოდულობისა და ფარგლების“ მოთხოვნათა დაცვით სსე წელიწადში ერთხელ ღამის სამუშაოზე დასაქმებულთათვის უზრუნველყოფს პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას, საჭიროების შემთხვევაში, საექიმო საქმიანობის უფლების მქონე შესაბამისი ექიმსპეციალისტის რეკომენდაციით, 6 თვეში ერთხელ.

აღნიშნული პერიოდული სამედიცინო შემოწმებები იძლევა საშუალებას გაკონტროლდეს სსე-ში დასაქმებულთა პროფესიული დაავადების განვითარების რისკი, შრომისუნარიანობა, სამედიცინო და შრომითი რეაბილიტაციის საკითხები.

### **2.4. ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები**

სსე დასაქმებულებს უზრუნველყოფს ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებებით. სსე-ს სამუშაო სივრცეებში თანამშრომლები და სხვა პირები ვალდებულნი არიან სამუშაოს სპეციფიკიდან და ტექნიკური რეგლამენტებიდან გამომდინარე თან იქონიონ/გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: სათვალე, ჩაფხუტი, რესპირატორი, სპეც-ჟილეტი (საჭიროებისამებრ), სპეც-ფეხსაცმელი, სპეც-ტანსაცმელი/უნიფორმა, ხმაურმზომბი, დამცავი ქამრები, დროებითი ღობურები, სასიგნალო ლენტები, საინფორმაციო პლაკატები და ნიშნები და ა.შ..



სსე მუდმივად აკონტროლებს ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების, დამცავი აღჭურვილობის გამოყენებას, მათ გამართულობას, შესაბამისი წესით აღრიცხვას და დროულ ლაბორატორიულ შემოწმებას.

### 3. ინციდენტების (უბედური შემთხვევები) მოკვლევა

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის აღრიცხვა, მოკვლევა და ანგარიშგება ხორციელდება ერთიანი სავალდებულო წესის შესაბამისად, რომელიც რეგულირდება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-11/ნ-ით, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესი.